სიმონ ქვარიანი.

სამგმირი

ბბ. ბ. ზდანოვიჩი,

კითხვა აბაშიძე და ოგანული.

КУТАИСЪ
Губернская Типографія, Тифлис. ул., д. С. Бокерія.
1903.

სიმონ ქვარიანი.

სამი გმირი.

34781

ბბ. ბ. ზდანოვიჩი,

კიტა აბაშიძე და რგანელი.

КУТАИСЪ
Губернская Типографія, Тифлисская ул., д. С. Бокерія.
1902.

I

„Audiatur et altera pars“.

„Ივერიის“ № 141-ში მოთავსებულმა ჩვენმა წერილმა, სათაურით „შავი-ქვის საზოგადოება“—მ ფრიად ააშფოთა ორი სახელოვანი გმირი ბბ. რგანელი და კიტა აბაშიძე. მესამე-კი, ე. ი. ბ-ნი ზდანოვიჩი, თუმცა ყველაზე მეტად გაცხარდა, მაგრამ ორჩია თავისებური სიჩუმე და მოგვისია მხოლოდ თავისი დაქირავებული მხედრობა. ორმა ზემო თქმულმა რაინდმა არ დაზოგეს თავი თავიანთ ბელადისადვის, გადაშალეს ავლაბრულ ლანძღვა-გინების და ლაგვი ირონიის ლექსიკონი, გადაამახინჯეს ფაქტები, დაჰგმეს სიმართლე და შეზარეს „ივერია“-ცნობის ფურცელის“ მკითხველთა სმენა თავიანთის სოფისტიკით, მედიდურობით, ქირდვით და ილის-წამებით (იხილე „ცნობის ფურცელი“ № 1883 და „ივერია“ №№ 163, 164 და 166).

ჩვენ არ გვსურს შეეეცილოთ ამ უზადო რაინდთ თავიანთ „სანაქებო“ იარაღში და მით დავამციროთ პრესსა და მკითხველი საზოგადოება. ამას კი ვიტყვით, რომ ამგვარის მოქმედებით ყოველი მწერალი უწინარეს ყოვლისა **ამცირებს თავის თავს, რეკლას პრესსას, მკითხველს და იჩენს თავის**

ნიჭის, გონების და ზნეობის სრულს სიბეჩავეს და უბადრუკობას. კვლავ ვიტყვით, რომ ლანძღვა-გინება, სოფისტიკა და ცილის წამება ამ სახელოვან რაინდთა სტიქიონია. შოთა ამბობს: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.

ახლა ვიკითხოთ, ვინ ბრძანდებიან ეს რაინდები, ეს დიდი მსახიობნი?—„მერე რა არის ჰეკუბა მათთვის, ან თითონ ესენი ჰეკუბასათვის, რომ ეგრე მწარე ცრემლსა ღვრიან?!“

ოო, ბევრი რამ, ფრიად ახლო პირნი, ფრიად დავალებულნი... თურმე ნუ ბრძანებთ, ერთიცა და მეორეც ას-ას მანეთს იღებენ თვეში ამ შავი-ქვის საზოგადოების საქმეებიდგან ბ. გ. ზდანოვიჩის და მისი ვეზირების წყალობით და ამიტომ იგინებიან ასე გაცხარებით და იქნევენ მაყაოს ხმალს. ეს მანეთიანებს თურმე დიდი გავლენა აქვს ამ ნივთიერს საუკუნეში! ჯერ კიდევ შოთამ ბრძანა: „დახე თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკის ძირისა“-ო. ამის შემდეგ განა გიკვირთ ბბ. რგანელის და აბაშიძის მოქმედებანი?! აი თურმე, რა „უანგაროო“ პუბლიცისტებთან გვაქვს საქმე, მკითხველო!..

ჩვენ-კი ვეცადოთ **ფაქტებით** და **მხოლოდ ფაქტებით** გავსცეთ მათ პასუხი და დავფუშოთ მათი სოფისტიკის სუსტი ქსელი და საპნის ბუშტები.

გავუშინჯოთ კიჩი ბბ. რგანელის და აბაშიძის წერილებს, ერთად განვიხილოთ ისინი დროს მოსაგებათ და დავსტკბეთ მათი შვენიერი საბუთე-

ბით. დავიწყოთ შავი-ქვის საზოგადოების წესდების შეცვლიდგან და საორგანიზაციო კომისიის, მოსპობიდგან. ჩემს პირველს წერილში ვამბობდი, რომ პირველიც და მეორეც უკანონოდ მოახდინეს თქო; როგორც წესდების შეცვლა, ისე კომისიის მოსპობა შეეძლო მხოლოდ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებასა-თქო. ამაზე რგანელი მპასუხობს, რომ კომისია გააუქმა ამხანაგობის წევრთა რწმუნებულმა კრებამო და ნაცვლათ აირჩია ხუთი კაციო. ამასვე ბრძანებს აბაშიძე და საბუთად მოჰყავს წესდების მეათე, მეთორმეტე და მეოცდა-ერთე მუხლები. ამ წუთას ხელში გვაქვს ეს წესდება, გადვიკითხეთ რამდენჯერმე, როგორც ზემო თქმული მუხლები, ისე მთელი წესდება, მაგრამ შიგ ვერსად ვიპოვეთ, რომ ან ჯგუფების ვექილებს (წარმომადგენელთ), ან გამგეობის დროებით წარმომადგენელს ბ. ზდანოვიჩს შესძლებოდეს ან წესდების მუხლების შეცვლა და ან საორგანიზაციო კომისიის გაუქმება. ამიტომ ფრიად დაგვავალებს ბ-ნი აბაშიძე თუ კეთილ-ინებებს და მოიყვანს იმ მუხლს სიტყვა-სიტყვით. პირ-იქით წესდების მე-25 მუხლი გვამხელს შემდეგს:

„წლიურ საზოგადო კრების უწყებას შეადგენენ შემდეგი საგნები: ა) განხილვა და დამტკიცება, როგორც წლიური ანგარიშისა, ეგრეთვე მომავალ შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვისა, ბ) გამგეობის თავმჯდომარის, წევრთა და მათ კანდიდატ-

თა არჩევა, ეგრეთვე მათი განშორება ვადამდე; გ) გამგეობის წევრთა და თავმჯდომარის ჯილდოს განსაზღვრა; დ) სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა. ე) განდევნა და უკანვე მიღება საზოგადოების და ამხანაგობათა წევრების; ვ) **ამა წესდებაის შეცვლა და დამატება**; ზ) დამტკიცება ინსტრუქციებისა, რითაც უნდა განისაზღვროს როგორც გამგეობის, ისე სხვა ორგანოთა და მოსამსახურე პირთა მოქმედება; ᲗᲘ) საზოგადოების მოქმედების შეწყვეტა და მის საქმეთა ლიკვიდაცია და თ) ყველა იმ საქმეთა განხილვა, რომელნიც არ ექვემდებარებიან რჩევის და გამგეობის გადაწყვეტას“ *).

რა ჩანს ამ მუხლიდან? აქ ჩვენ ნათლად ვგებულობთ, რომ არავის არ შეეძლო არც წესდების მუხლების შეცვლა და დამატება, არც ჯილდოს განაწილება, არც გამგეობის წევრთა და თავმჯდომარის არჩევა (და მით უმეტეს მისი დროებითი წარმომადგენლისა), არც ხარჯთ აღრიცხვა და ინსტრუქციების შედგენა თვინიერ **საზოგადო კრებისა**, რომელიც არის უმაღლესი ორგანო. ამის შემდეგ განა აქვს რაიმე საფუძველი და სიმართლე ბ. აბაშიძის სიტყვას, როცა გაიძახის, რომ საბჭოს (ე. ი. ვექილების) საქმე იყო ფულის (7000 მ.) დარიგება ჯილდოთა?! ერთი გვაჩვინოს თუ ჯილდოს განაწილება უწერიათ ან წესდებაში და ან ვექილობაში!

---

*) კურსივი ჩვენია.

ი, სწორეთ ეს უმთავრესი მუხლი დაივიწყეს ბ. ზდანოვიჩმა და მისმა ამალამ, მით **უარ ჰყვეს საზოგადო კრების მნიშვნელობა** და გაჰქელეს მრეწველთა სურვილი და მსჯელობა. კიტა აბაშიძე და კ-ნია მეტყვიან, რომ საზოგადო კრება წლის ბოლოს უნდა მოხდესო, ჯერ წელიწადი არ გასულაო და სხ. ეს იქნება საშინელი სოფისტიკა და პარადოქსი. ყველგან და ყოველთვის ასე მოხდარა, რომ წესდება შეუდგენიათ ერთს ან რამდენიმე რწმუნებულს კაცს, წარუდგენიათ იგი საზოგადო კრებისათვის, რომელსაც შეუცვლია და შეუვსია იგი, ან ისე მიუღია, და ამ რიგად დაუმტკიცებიათ ან ნოტარიუსში, ან გაუგზავნიათ იგი სამინისტროში. იგივე საზოგადო კრება პირველადვე ამტკიცებს ხარჯთ აღრიცხვას, ინსტრუქციებს, ცვლის ან ირჩევს კამისიებს, ნიშნავს ჯამაგირებს, ანაწილებს ჯილდოს, ირჩევს მუდმივს ან დროებითს გამგეობას და სხვ. და სხ.; ერთი სიტყვით, საქმეს აყენებს კალაპოტში. ეს არის ყველგან საზოგადო კრების დანიშნულება. აქაც, შავი-ქვის საქმეებშიაც ასე უნდა მოხდარიყო; საზოგადო კრება უნდა მოეხდინა უსათუოდ თებერვალში! მაშინ იწყებოდა ახალ საზოგადოების (სინდიკატის) ფუნქცია (მოქმედება), მაშინ წყდებოდა მათი ბედ-იღბალი, მაშინ უნდა გასცნობოდენ წევრნი ყოველივე საქმეს, მაშინ ადგებოდენ ახალ გზას, მაშინ უნდა გამოეთქვათ თავიანთი კოლექტიური აზრი, მაგრამ ამ სამართლიან საშვალებას და მოქ-

მედებას არ მიმართეს „დიდმა მოღვაწემ“ ბ. ზდანოვიჩმ და მისმა ამალამ. მათ ძლიერ კარგად იცოდნენ, რომ საზოგადო კრება მოთხოვდა ბ. ზდანოვიჩს ანგარიშს, თუ რა აკეთა ბერლინში და მასთან აირჩევდა საქმის სათავეში მისთანა პირთ, რომელნიც ბ. ზდანოვიჩს და კ—ნიას არ სურდათ, არამედ თითონ სწადდათ ყოფილიყვნენ საქმის ბატონად და აჭა უკანონო საშუალებით ხალხის სურვილის და წესდების გაქელვით მიაღწიეს მიზანს.—შარშან 20 ივნისს ჭიათურაში მომხდარმა საზოგადო კრებამ აარჩია საორგანიზაციო კამისია და დაავალა შემდეგი:—„კონტრაქტის შეცვლა (თუ-კი საქმე მოითხოვდა) და ამ რიგად მისი შეკვრა ბერლინის სინდიკატთან. ინსტრუქციის შედგენა, საამხანაგო წესდების შედგენა, ჯგუფების დაარსება და საერთოდ საქმის სრული ორგანიზაცია“ (იხ. ოქმი XV).

კიტა აბაშიძე გაკვირვებით გაიძახის: ვინ აირჩია ეგ საორგანიზაციო კომისიაო.. ეგ საორგანიზაციო კომისია, როგორც მე-15-ე ოქმი გვამხელს, აურჩევია მრეწველთა საზოგადო კრებას. 21—24 სექტემბრის კომისიის სხდომებზედ-კი ცენტრალურ გრუპის, ე. ი. საზოგადოების წესდების პროექტის შედგენა მიანდვეს პ. ა. თუმანოვს და ს. ქვარიანს (იხ. ოქმი XXXV). ამ დროს ბ. თუმანოვი ავად გახდა და **პროექტი** შეადგინა მარტო ს. ქვარიანმა, რომელმაც წარუდგინა იგი სხდომას 1—3 ოკდომბერს, აი რას ვკითხულობთ XXXVI ოქმში:—„კომისიამ

განიხილა ქვარიანის მიერ შემდგარი მრეწველთა ცენ-ტრალური ჯგუფის ანუ კავშირის წესდება, (იგუ-ლისხმეთ შავი-ქვის საზოგადოების წესდება, ვი-ნაიდგან ამას პირველად ერქვა ცენტრალური ჯგუ-ფის ანუ კავშირის სახელი) და მიიღო იგი რამდე-ნიმე მუხლის შეცვლით. კომისიამ დაადგინა: გა-დაეცეს ეს წესდება ბ. ხელთუფლიშვილს განსახილ-ველად იურიდიულის მხრივ. ამის შემდეგ ყოველ მკითხველს მოგვრის ღიმილს რგანელის და კიტა აბაშიძის რიხით წარმოთქმული სიტყვები, რომელ-ნიც ღაღადებენ: „ქვარიანს არ წაუკითხავს ეს წეს-დება, ქვარიანს უთუოდ არ წაუკითხავს, ქვარიანს ან არ წაუკითხავს, ან განგებ ცრუობს“ და სხვ. და-სხვა. თურმე ნუ ბრძანებთ, ქვარიანს არამც თუ წაუ-კითხავს ეს წესდება, არამედ მიუნდვიათ მისთვის შესადგენად და შეუდგენია კიდეც. სწორეთ ეს შედგე-ნილი წესდების პროექტი სუფთად გადაწერილი საორ-განიზაციო კომისიამ წარუდგინა განსახილავად სა-ზოგადო კრებას ჭიათურაში შარშან 14—17 ოკ-ტომბერს. კრებამ მიიღო პროექტი და მოისურვა მხოლოდ შეეცვალათ ერთი რამ იმ მუხლში, სადაც მოგების განაწილებაზედაა ბაასი, ე. ი. 5% ნაც-ვლად გამგეობის სასარგებლოდ დაეწერათ 2 თუ 3% წმინდა მოგებიდგან და ვგონებ კიდევ ერთი მუხლის შეცვლა რედაქციის მხრივ.

მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაზედ არა რაა სრუ-ლი, არ არსებობს იდეალური წესდებაც. ამ რიგად

საზოგადო კრების მიღებულ პროექტიც საორგანიზაციო კომისიამ და ჯგუფების ვექილებმა დაუწყეს ხელ-ახლავ სინჯვა და კრიტიკა. ეჭვი არაა, პროექტს დასჭირდა შეცვლა და შევსება, როგორც საერთოდ ყველა პროექტის ხვედრია. ამ გადაშინჯვაში მონაწილებას იღებდა როგორც ბ. ზდანოვიჩი, ისე ამ სტრიქონების დამწერიც. ამასობაში ბ. ზდანოვიჩი წაბრძანდა ბერლინში და იქიდან პიტერში; დაბრუნდა კი იანვრის 8 თუ 10-ს. პროექტი უკვე იყო დამუშავებული და ვგონებ სუფთად გადაწერილი, ხოლო ველოდით ბ. ზდანოვიჩს, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, რომ მოგვეხდინა მრეწველთა საზოგადო კრება და ეს შეცვლილი პროექტი ხელ-ახლად წაგვეკითხა მათთვის და მიგველო მათი სანქცია.

ამ დროს მოხდა უცნაური რამ. დაირღვა ის თანხმობა და წესიერება, რომელიც არსებობდა, როგორც კომისიის წევრთა, ეგრეთვე კომისიას და ვექილთა შორის. მრეწველთა ვექილობის ძალით ბ-ნ ზდანოვიჩმა შეუკრა პირობა ბერლინში მანგან-სინდიკატს (და არა არონ ჰირშს), რომელმაც გამოგზავნა სესხად ბ-ნ ზდანოვიჩის სახელზედ, როგორც ვექილისა, 200,000 მანეთი; ფულის სუნი ეცა ჭიათურას; წლი-ნახევრის საოცარ კრიზისით შევიწროვებული მრეწველნი სისწრაფით გამოქანდნენ ქუთაისში.—ფული, ფული, ჩქარა, მალე, ვილუპებით, მოგვეცით ჩქარა ჩვენი ოქროდე გრო-

ში და გაგვიშვით ჩვენს საქმეზედ!.. აი, რას გაიძახოდნენ შევიწროვებული მრეწველნი და მათი ვექილები! ფულის სიახლოვემ საშინლად აღუძრათ მადა, ვიღას ახსოვდა იმ დროს ან წესდება, ან საზოგადო კრება, ან გამგეობა!.. ყველას სტანჯავდა ფულის შიმშილი და გვრიდა სურვილის ნერწყვს ყვითელი ლითონის ბზინვარება. მიუხედავათ ამისა, რამდენიმე შეგნებული პირი თხოულობდა საზოგადო კრებას და საქმის გაცნობას. არ ჩქარობდა მხოლოდ ლაღი, მაძღარი და გამოცდილი ზდანოვიჩი; ის იყო კლდესავით მტკიცედ, აქ გამოჩნდა სრულის სახით მისი **თვითნებობა**. მას სურდა ყველა მოედრიკა, ყველა დაემონა და დაემორჩილა თავის განზრახვისათვის, **მას ჰქონდა ფული, მის ხელში იყო 200,000 მანეთის ჩეკი** და ეს იყო უუდიდესი **ძალა თაღასმა** რომელიც **მუსრავდა ყოველივე დაბრკოლებას**. იმავე დროს ხელს უწყობდნენ თავის ერდგული დამქაშებიც. ბ.-ნმა ზდანოვიჩმა ინება საზოგადოების წესდების პროექტის ხელახლა გადაშინჯვა, შეცვალა თითონ და ჩაუმატა სულ ახალი მუხლები და დამატებანი, მაგ. § 3 და მისი დამატება, § 4, 11, 12 და მისი შენიშვნა, 21-ის შენიშვნა, 35, 36, 37, 40, 43, 44 (ამათში ზოგიერთი მუხლი შესცვალეს ნოემბერ-დეკემბერში საორგანიზაციო კომისიამ და ვექილებმა); ამ რიგად წესდება შეიცვალა თითქმის ძირითურ და დაეტყო ულოლიკობა. თვით ის §§ 12 ⁄ 21 შენიშვ-

ნები და დამატებანი, რომელიც ისე რიხით მოჰყავს ბ-ნ აბაშიძეს, კეთილ-ინება და თავის ლამაზი ხელით ჩაწერა თითონ ბ-ნ ზდანოვიჩმა. ეს ჩამატებანია, რომ ძირითურ ცვლიან წესდების აზრსა და სისტემას, შეაქვთ შიგ ულოღიკობა და ბუნდოვანობა. სწორედ აქ წერია, რომ გამგეობის არჩევამდე დროებით გამგეობის უფლებანი და ვალდებულებანი ევალება გ. ფ. ზდანოვიჩსო, რომელსაც, როცა მოისურვებს, შეუძლია გავიდეს ამ საქმიდგანო, (მელიამ დაიტოვა ხვრელი). აი ეს სიტყვები თავის ნებით და თავის ხელით ჩასწერა „მორცხვმა“ ბ-ნმა ზდანოვიჩმა, რომელზედაც ბ-ნი კიტა აბაშიძე ბრძანებს: თითონ-კი არ უნდოდაო, მაგრამ ვექილებმა და მრეწველებმა არ მოასვენეს, თხოვეს, შეევედრენ და დასტოვესო. თუ აგრე იყო, ან ფითონ რაღად სწერდა თავის ნებით ამ მუხლებს, ან რად ეშინოდა საზოგადო კრების მოხდენისა?!. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ეს არის! ბ-ნმა ზდანოვიჩმა არაფერი გზით არ მოახდინა საზოგადო კრება და არ გააცნო მას როგორც შეცვლილი წესდება, აგრეთვე თავის ნამოქმედარი ბერლინში, თუმცა ყველა წევრი ქუთაისში იყო იმდროს ბ. ზდანოვიჩმა მოისურვა, რომ ყველა წევრთა მადნები გადაცემულიყო საზოგადოების სახელზედ, მანვე მოისურვა 7000 მან. ჯილდოთ დარიგება (ეს იყო კომისიის ზოგიერთი წევრების და ჯგუფთა ზოგიერთ ვექილების სურვილიც), მოისურვა კო-

მისის გაუქმება და ახალი კომიტეტის ანუ კომისიის დაარსება. მან გააჩერა ერთ თვეს ქუთაისში 200-დე კაცი და ჩაფლა ვალებში, მასვე სურდა, რომ თავის ამალით ყოფილიყო საქმის სათავეში და ყოველივე ამას მიაღწია მან ფულის მიუცემლობით, ერთი თვის განმავლობაში ხალხის დაქანცვით და დაპირებით. ეჭვი არაა ამ საქმეში ხელს უწყობდენ მას ერთგული ვეზირები და აგენტები. მანვე ძალად დააცვლევინა ვექილობანი, რომ ვექილთ შეძლებოდათ პირობების დამტკიცება *) და ჩაიდინა ბევრი რამ იმ გვარი საქციელი, რომელმაც ააშფოთა ზოგიერთი შეგნებული პირნი. ამის მიზეზით იყო, რომ გაშორდა საქმეს ერთი სერიოზელი ჯგუფი „იმედი“. ბ. ზდანოვიჩმა შვენივრად ისარგებლა ხალხის გაჭივრებით, ვექილთა მეტ ნაწილის სისუსტით და გამოუცდელობით, მან შექმნა ოლიგარხია, შექმნა უზურპაცია და ჩაიდინა მისთანა საქმე, რომელიც სხვა ალაგს და სხვა უფრო შეგნებულ საზოგადოებაში ფრიად ააშფოთებდა ყველას; ჩვენში-კი ამგვარი კაცი სათაყვანო კერპია, ქება-დიდების და ვაშას ღირსი.

II.

ბ-ნი აბაშიძე ბრძანებს: საორგანიზაციო კომისიის გაუქმებაზედ რატომ ქვარიანმა პროტესტი არ შეიტანაო, ახალ კომისიაში ბ-ნი ქვარიანი არა-

*) ეს ვექილობა არ წაუკითხავთ მრეწველთ, ისე ფაცა-ფუცით მოაწერინეს ხელი. ავტ.

ვინ დაასახელა არც წევრად და არც მდივნათო, თვით ქვარიანს უწერია იმ ოქმზე ხელიო და სხ.

დავარწმუნებთ ბ-ნ აბაშიძეს, რომ საორგანიზაციო კომისიის გაუქმებაზედ სიტყვიერათ დიდი პროტესტი განვაცხადე; ეს იცის თითქმის ყველა ვექილებმა, კომისიის წევრებმა და თვით ბ-ნ ზდანოვიჩმა, (იმედია არ იუარებს); ამის შესახებ არ ყოფილა ოფიციალური სხდომა და ამიტომ არც ოქმი დაწერილა და თუ ოქმში არაა, ჩემი აზრიც, ე. ი. პროტესტიც არ იქნება შეტანილი, ეს აშკარაა! კომისიის გაუქმება მოხდა ისე ზეზე, ხელ და-ხელ. ეს იყო ბ-ნ ზდანოვიჩის პოლიტიკა. ხოლო გვარწმუნებდენ ბ-ნ ზდანოვიჩი და მისი ქურუმნი, რომ ამ დღეებში გაიყიდება ქვა, და მაშინ საზოგადო კრებას მოვახდენთ, წესდებას გავაცნობთ და ყოველივე საქმესო; ახლა-კი ყოველივე ეს დროებითაა, რადგან ფულს თხოულობენ და დოკუმენტ გადმოუცემლად და წესდებაზე ხელ-მოუწერლად არ გვინდა მივცეთო; საზოგადო კრება-კი დიდხანს გასტანს და საქმეს გააჭიანურებსო და სხვა ამგვარი ლათაიები. სამწუხაროდ ჩვენც დაუჯერეთ ამას, მით უმეტეს, რომ იმ დროს დეპეშების გაცხარებული ფრენა იყო ბერლინსა და ქუთაისში ქვის გაყიდვის შესახებ და გვეგონა მალე გაიყიდებოდა ქვა, ამიტომ გავჩუმდით დროებით და არ გავამწვავეთ საქმე. ხოლო რაც შეიძლება წყნარი კილოთი გამოვსთქვით ჩვენი შეხედულობა იმ ხანებში, ე. ი. ამ წლის 1 მარტს

„ცნ. ფურცელში“ № 1739; წერილის სათაურია „შავი-ქვის საზოგადოება“. აი რას ვწერთ იქ სხვა-თა შორის: „მას (ე. ი. კომისიას), ვგონებ არ ქონდა უფლება გაეუქმებია თავისი თავი და გადეცა საქმეები საზოგადოების საბჭოსათვის. მრეწველთა საზოგადო კრებამ აარჩია ეს კომისია და მიანდო საქმის ორგანიზაცია. ამიტომ მას უნდა მოეხდინა ისევ საზოგადო კრება ჭიათურაში, ემხილა მისთვის თავის ათი თვის მოქმედების ავ-კარგი და ჩაებარა თავის საქმეები. შემდეგ საზოგადო კრების ნება იყო, თუ ვის აირჩევდა და ვის ჩააბარებდა ამ საქმეებს“. აქვე ვწერ და ვსაყვედურობ შავი-ქვის საზოგადოების წესდების შეცვლის გამო, იქვე ვამბობ, რომ ზოგიერთი მუხლები შეიცვალა კომისიის წევრთა და ვექილთა უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგათქო (აქ ვგულისხმობ ბ-ნ ზდანოვიჩს და კ-ნიას). —„ჩვენის აზრით,—ვამბობდით იქვე,—უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს შავი-ქვის საზოგადოების შეცვლილი პირობა (წესდება) დამტკიცებამდე გაეცნო საზოგადოებას. ეჭვი არაა, მაშინ არ შეეპარებოდათ ის უხერხული შეცდომანი, რომელიც შეიტანეს, მაგ., მეთორმეტე მუხლში“ და სხ. მესამე შეცდომა კომისიისა, ჩვენის აზრით გახლავს ის, რომ მან არ მოახდინა საზოგადო კრება და მით არ მისცა საშუალება აერჩია მოქმედი ორგანო, ე. ი. გამგეობა თავის კანტორით ⁄ შტატით“. აქვე შევნიშნეთ კომისიას საქმის გაჭიანურება, ჯილ-

დოს განაწილება და სხ. აი ამას ვწერდით კიდ
პირველ მარტს და მით ვაცხადებდით საქვეყნო
და თამამად ჩვენს პროტესტს. მაგრამ რგანელისთ
ნა და კიტასთანა კაცებს მაინც ვერას დააჯერე
ესენი მაინც თავისას გაიძახიან. აი ამისთანა კაცებ
ზედ ბრძანა შოთამ: „ასი მართებს გაგონება, არ ეყო
ფის არ ერთხელი“.

რაც შეეხება კომიტეტის ანუ ახალი კომისიი
არჩევას, ეს მოქმედება იყო ლოლიკური და წეს
დებასთან შეფარდებული, ვინაიდგან § 21-ის შე
ნიშვნა აშკარად მოწმობს ამგვარ კომიტეტის არ
ჩევას, ეგევე მუხლი მოწმობს, რომ კომიტეტშ
აირჩევიან ან ვექილები, ან საზოგადოების წევრებ
(და არა გარეშე პირი.) მე-კი შავი-ქვის საზოგადო
ებისთვის იმ დროს გარეშე პირი შევიქენი, რადგა
მის შეცვლილ წესდებას არ მოაწერა ხელი ჩვენი ჯგუ
ფის „იმედის“ ვექილმა ბ-ნ კვინიხიძემ. აქედგან
აშკარაა, თუ რათ არ დამასახელეს და რათ არ გა
ველ წევრად ამ ახალს კომიტეტში! რომ წესდებ
წაეკითხა ბ-ნ კ. აბაშიძეს, ისე საოცრად არ გაუ
კვირდებოდა არც ჩემი არ ყოფნა ახალს კომიტეტ
ში და არც იმ ოქმზე ჩემ მიერ ხელის მოწერა. მ
ვიყავ წინააღმდეგი იმისი-კი არა, რაც ლოლიკურ
სიმართლეზედაა დამყარებული, არამედ მთელი მო
მედების და წესდების ძირითურ შეცვლისა.

ბ. აბაშიძე ბრძანებს, რომ ჯილდოს 7000 მ
ნეთის განაწილების წინააღმდეგი სიმონ ქვარიანი

ᲒᲔ იყოო და ამ ფულიდან ლომის კერძი, ე. ი. 600 მანეთი თვით ქვარიანს ერგოო. თავიდან ბოლომდე შემცდარი აზრია, რომ მეტი არა ვსთქვათ. ᲛᲔ ფულიდან სიმონ ქვარიანს ერგო მხოლოდ 600 მანეთი, ბ-ნ ზდანოვიჩს-კი ერგო ამ ფულიდან 1000 მანეთი; გარდა ამ ფულისა ბ-ნ ზდანოვიჩს მისცეს ოემბრის დამდეგს სხვა ფულიდგან კიდევ 1000 მან. ᲡᲐᲖᲘᲡ ფულად ვარშავიდგან ბერლინამდე, სადაც მხანაგობის საქმეებზედ დარჩა მხოლოდ ორ კვირას და სოციუზის საქმეზედ კიდევ ორ კვირას, და ამ ათას მანეთს კიდეც წუნობდა ეს ჩვენი „თავდადებული მოღვაწე“, ცოტა მომცესო. იმავე დროს ბ. ზდანოვიჩმა წაიღო სიეზდის საქმეები და უნდა ემაცადინა პეტერბურგში ტარიფის დაკლების შესახებ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ის იღებდა კიდევ იმ ათას მანეთს გარდა დღეში 25 მანეთს, რამდენ ხანსაც დარჩებოდა რუსეთში. სოციუზის საქმეებმა ისე შეაჩერეს ბერლინში იგი, რომ პეტერბურგში ველარ მოუსწრო 4 დეკემბერს სატარიფო კომიტეტის სხდომას და მით დაკარგა შვენიერი შემთხვევა. ᲩᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ იმ დროს, როცა ყოველივე გათავებული იყო და მიიღო ცივი უარი ტარიფის დაკლებაზე. ამ რიგად ბ-ნ ზდანოვიჩს ᲐᲛ ჩვენს საქმეში ᲔᲠᲒᲝ 2000 ᲛᲐᲜ., ს. ქვარიანს ᲙᲘ, რომელსაც [illegible] ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ უფრო ᲫᲘᲛᲔ ᲣᲚᲔᲚᲘ, ᲔᲠᲒᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ [illegible] ᲛᲐᲡ [illegible] ᲐᲮᲚᲐ თქვენ გასაჯეთ, ᲙᲘᲗᲮᲔᲚᲘᲡ [illegible] ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲘᲐ ლომის კერძი! ᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ [illegible] ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲨᲘ

და იქ იხილავს ყველაფერს, ან კითხოს, თუნდ თითონ ბ. ზდანოვიჩს, თუ ეგრე არაა. მეორე: 7000 მანეთის განაწილების შესახებ სხდომა არ ყოფილა, ეს განაწილება, როგორც ვიცით, არც ერთს ოქმშია გატარებული, ამიტომ არც ჩემი მწერლობითი პროტესტი იქნებოდა. ჩემი პროტესტი გაკვრით ვსთქვი „ცნ. ფურცელში“ № 1739, სიტყვიერად კი მე ვიყავ ამ განაწილების წინაღმდეგი, ამის მოწამე არიან ვექილები და კომისიის წევრები. მე ვამბობდი, რომ ეს განაწილება უკანონოა, რომ ეს მრეწველთა ნასესხი ფულია, რომ ჩვენ არა გვაქვს ამის დარიგების უფლება, რომ ჩვენი ნამოქმედარის განსჯა და დაჯილდოება მივანდოთ საზოგადო კრებას, მით უმეტეს, რომ ამას მოწმობს წესდების § 25, მაგრამ ვინ დაიჯერა! უმეტესობა ფულის განაწილებას თხოულობდა და მოხდა კიდეც. მაშინ ვთქვი, რომ ეს 600 მანეთი მიმაქვს არა ჯილდოთ, არამედ სესხად, (რადგან მთელი წელიწადი ამ შავი-ქვის საქმეებს მოუნდი, სხვა საქმე არ მიკეთებია და ამიტომ დამედვა ვალები) და ყოველივეს მოვახსენებ საზოგადო კრებას-თქო. მრეწველებზედ-კი მეტად ცუდად იმოქმედა იმ 7000 მ. ჯილდოდ განაწილებამ კომისია-ვექილთა შორის და დღესაც ვერ შერიგებიან ამ აზრს. ეკითხოს მთელს ჭიათურას, თუ ასე არაა.

სწორედ სამწუხაროა, რომ ჩვენი **დარბაისელი** ოპონენტი ან სრულებით არ გასცნობია საქმეს და ბულვარის ჭორები შეუკრებია, ან განგებ დაუმახი-

ნჯებია ფაქტები! ნუ თუ არ შერცხვება ამის შემდეგ! სირცხვილი დიდი კომბალიაო, ამბობს ქართული ანდაზა, მაგრამ ყველა კი გრძნობს ამ კომბლის ძალას?!

ბ-ნი კიტა აბაშიძე მდებს ერთს საშინელ ბრალს მაბრალებს საზოგადოების ფულის 700 მანეთის შეჭმას. აი რას ბრძანებს იგი თავის წერილში: „აბა რა საქმე მიენდობა ისეთ კაცს (ე. ი. ს. ქვარიანს), რომელმაც საკანცელარიო ხარჯებს 700 მანეთი მოანდომა და ხარჯის გასამართლებელი საბუთებიც ვერ წარმოადგინა. ქვარიანი საზოგადო ფულს განძრახ უკანონოდ ფლანგავსო“ და სხვა და-სხვა. ესმის ჩვენს ოპონენტს თუ რა სუნი უდის ამ სიტყვებს?! ესმოდა-კი, თუ რას წერდა იმ დროს?! იყო ის მაშინ სრულს გონებაზედ?! თუ აგრეა, მაშ ბ-ნ აბაშიძეს ქვარიანი გაუსწორდება სხვაფრივ, ახლა კი მოგახსენებთ, რომ ეს მისი სიტყვები არის თავიდან ბოლომდე **საშინელი ცილის წამება, საზიზღარი ინსინუაცია**; სხვა სახელი არ ეთქმის მათ. მოვახსენებ პატივცემულ მკითხველს და ისმინოს აბაშიძემ, რომ ს. ქვარიანის, როგორც მდივნის, ხელში გაუვლია თავიდან ბოლომდე 700 მანეთს-კი არა, არამედ 1047 მანეთს და 20 კაპეიკს; დახარჯულა საქმეში კი სულ 1166 მან. და 61 კ. ასე, რომ ქვარიანის მიერ მისივე ჯიბიდგან ზედ-მეტად დახარჯული ფული 119 მ. და 41 კ. ქვარიანმა მიიღო ბ. ზდანოვიჩისაგან, ე. ი შავი-ქვის საზო-

გადოების ფულიდან, ნაწილ-ნაწილად ამა წლის მარტიდგან 14 აპრილამდე. ახლა ვიკითხოთ, თუ რაში დაიხარჯა ეს ფული? ამ ფულში შედის მდივნის დროებითი ჯილდო თვიურათ 50 მ. *) შუა ივნისიდგან თებერვლის დავლევამდე,, სულ 425 მ., კიდევ მისთვის კანტორის ხარჯათ 90 მ.; გარდა ამისა 200 მანეთი დავურიგე ოქმის დადგენილების ძალით ვექილებს და კომისიის წევრთ პრაგონათ თითო თუმანი. ყველა კანონიერი საბუთები არის ჩემ მიერ წარდგენილი. დანარჩენი 451 მანეთი დაიხარჯა 9 თვის განმავლობაში დეპეშებში, ვექსილის ბლანკებში, ამხანაგობის განცხადებების დასტამბაში (კავკაზის რედაქციამ წაიღო 90 მ.), წესდების დასტამბაში რემინგტონზე გადამწერის და ისე მწერლის ჯილდოთ, ფოსტის ხარჯებათ, ჭიათურაში ასვლის პრაგონის ფულად, ეტლში კომ. წევრების მოსაყვანად, პორტფელში, პაპკაში და სხვ. ყოველივე ამის დაწვრილებითი ანგარიში წარვუდგინე კიდევ 23 იანვარს კომისიის და ვექილთა შეერთებულ სხდომას და მასთან მოვითხოვე საქმეების და დახა-

*) ეს ხუთი თუმანი მეძლეოდა როგორც მდივანს დროებით ჯილდოთ კომისიის დადგენილებით (იხ. ოქმი XXXVIII) შუა ივნისიდგან, მაშინ როდესაც ამ საერთო საქმეს შევუდექი მარტიდგან. ასე რომ ნამდვილად თვიურათ მიმიღია 4 თუმანი იმ კაცს, რომელიც თითქმის დღე ღამ უნდებოდა ამ საქმეს. დღეს კი შავი ქვის საზოგადოების მდივანს შედარებით ნაკლები საქმე აქვს და იღებს ას მანეთს თვიურ ჯამაგირს.

ავტორი.

რჯულ ფულის რევიზია. აი, რა სწერია იმ ოქმში:— „მდივანმა ქვარიანმა წარმოადგინა სავსებით იმ ფულის ანგარიში, რომელსაც მისს ხელში გაუვლია ამ ცხრა თვეს. აღმოჩდა, რომ სულ მდივნის ხელში გაუვლია 977 მან. 20 კ., მდივანს კი დაუხარჯავს სულ 23 იანვრამდე საქმეებში 1019 მ. 43 კ., (იმ დროს მეტი არ იყო დახარჯული, დანარჩენი დაიხარჯა თებერვალში), ასე რომ უნდა მიიღოს მდივანმა კიდევ 42 მ. 23 კ. მასთან მდივანმა მოითხოვა რევიზია, როგორც მთელი საქმეებისა, ისე დახარჯულ ფულისა. დაადგინეს: „მიღებულ იქმნას ბ-ნი მდივანის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ხოლო რევიზიის მოხდენა არაა საჭიროდ ცნობილი“ (იხ. ოქმი LXXII). თებერვალის დამლევს კი, ყოველივე საქმეების ჩაბარების დროს, წარვუდგინე ბ-ნ ზდანოვიჩს ყოველივე ხარჯის სრული ანგარიში, წერილობითი სიგ გასამართლებელი საბუთებით, ე. ი. იმ საბუთით, რომელთა მოპოვებაც-კი შეიძლებოდა. შიგ არ იყო, რასაკვირველია, იმის საბუთი, თუ რა დაიხარჯა ეტლზე, 2 და 7 კაპეიკიან მარკებზედ, ან ვექსილის ბლანკზედ. ამათზედ კვიტანციებს არ იძლევიან არც მეეტლენი, არც ფოსტა და არც ხაზინა. ხოლო ამ ხარჯების გაგებაც და შემოწმება ადვილად შეიძლება, როგორც თვით საქმებით და მოწმეებით, ისე ჩემი სამახსოვრო წიგნით, რომელშიაც დაწვრილებით ვწერდი, თუ რა დროს რისთვის რა ხარჯებს ვახდენდი (რამდენის ჩაწერა და-

მავიწყდა სიჩქარის გამო და ამ რიგად რამდენი ვიზარალე ჩემის ჯიბიდგან, ამას ვილა ჩივის!). ყოველივე ამის დასამტკიცებლად ჩემ მიერ დახარჯულ ფულის სრულს სიას ვარდგენ „ივერიის“ პატივცემულს რედაქციაში. ხოლო იმ საბუთებში დამეკარგა ორი დეპეშის კვიტანცია 14 მ. 96 კ-ისა; ეს დეპეშები გაგზავნა ბერლინში ბ. საეტმა; მანვე გადმომცა კვიტანციები და ბ-ნ ზდანოვიჩის წინ მივეცი საეტს 15 მანეთის ოქრო, გამომიბრუნა 4 კაპ., ეს იყო 26 იანვარს; ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ბბ. ზდანოვიჩსა და საეტს; იმედია უარს არ იტყვიან და თუ საჭირო იქმნა, შეიძლება მივიღოთ კვიტანციის დუბლიკატები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან. ანგარიშის საბუთების ჩაბარების დროს ყოველივე ავუხსენი ბ-ნ ზდანოვიჩს. მანვე შეამოწმებინა ყველაფერი და შემდეგ მომცა ჩემი ზედმეტად დახარჯული 119 მან. 41 კ. ბ-ნი ზდანოვიჩი, სადაც უჯობს ნამეტანი ფორმალისტია და მეტის-მეტი ფრთხილი ადამიანი; ის არას დროს არ ყოფილა ჩემთვის მეგობარი და ლმობიერი, ამიტომ არას დროს არ მომცემდა ჩემს ფულს, ზედმეტად დახარჯულს, რომ არ დარწმუნებულიყო ჩემ მიერ წარდგენილ ანგარიშის სიმართლეში. **აი ნამდვილი ფაქტი, აი ნამდვილი ჯეშმარიტება!**.. ამის შემდეგ თქვენთვის მომინდვია, მკითხველო, უწოდოთ ბ-ნ კიტა აბაშიძეს თავის შესაფერი სახელი. ეს-კიჟ, რომ ცილის-წამება, ფაქტების დამახინჯება და ლანძღვა-

გინება არის ამ „დიდებულ პუბლიცისტის“ argumentum primarium.

III.

ლიდ ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ეს წერილი გავაჭიანურეთ. მიზეზათ მარტო ჩვენი ღირსშესანიშნავი ოპონენტები არ გახლავან. ამ წერილით გვსურს უფრო ვრცლათ გავაცნოთ მკითხველს „შავი ქვის საზოგადოების“ საქმენი და მეტი ნათელი მოვფინოთ მის შინაგან დაფარულ ჩარხს. როგორც წინეთ ვსწერდით, მარგანეცის საქმე თითქმის უუპირველესი საქმეა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის. ამ შავი-ქვით სჭამენ პურს 7—8 ათასი ოჯახი. ამ საქმეს შამოაქვს წლიურად ევროპიდგან 6—7 მილიონი მანეთი. ჭიათურაში გაუბამთ ქსელი და გაბატონებულან უმეტესად უცხოელი ელემენტები. მათ დაუმონებიათ ნივთიერად მკვიდრნი და სწოვენ სისხლს. სწორეთ ამ წუხრბელა-ჩარჩების მოსაშორებლად და ადგილობრივ მრეწველთა დასახმარებლად წელს დაარსდა ჭიათურაში „შავი-ქვის საზოგადოება“, რომლის წევრად ითვლება 188 ქართველი მრეწველი, (ამათში ორი ჯერ არაა ოფიციალურად მიღებული) და არა 180 კაცი, როგორც ბრძანებს ბ-ნი აბაშიძე. საკვირველია, ეს კაცი სხვას უკიჟინებს არითმეტიკის არ ცოდნას და თითონ ამ „დიდებულ“ ბანკირს ყოველ ნაბიჯზედ

ეშლება ციფრები, თუმც სიებიც და ანგარიშებიც ხელში აქვს. ამ რიგად „შავი-ქვის საზოგადოებაში“ შევიდნენ ჭიათურის მრეწველთა ნახევარზედ მეტი. რა არის ამ შავი-ქვის საზოგადოების მიზანი? მისი მიზანია შეაერთოს დიდ ამხანაგობათ ადგილობრივი მრეწველნი, რომელნიც დაყოფილია ჯგუფებათ სრულის ამხანაგური წესით, მოუპოვოს მრეწველთ ბაქნები და იაფი სესხი, გაუიეფოს და გაუადვილოს მადნებში მუშაობა, გააუმჯობესოს ქვის ღირსება ქვის გარჩევით, გარეცხით, ან სხვა საშუალებით, განაკარგოს მადნებში მუშაობის ტეხნიკა, გააეფოს ქვის მადნიდგან ჩამოტანა ღარების, ბრემსბერგების ან მავთულის თოკების საშუალებით, დააკლებინოს რკინის გზის ტარიფი, იქონიოს პირ-და-პირი გზა და კავშირი ევროპა-რუსეთის მექარხნეებთან და ამ-რიგად, თუ არ მოსპოს, შეამციროს მაინც ძლიერ მსყიდველთა, ექსპორტიორთა და კომისსიონერთა უზომო ეკსპლოატაცია. სხვათა შორის, ამ მიზნების მისაღწევად ეს საზოგადოება, ჯერ კიდევ დაარსებამ-დე, ე. ი. ჭიათურის მრეწველნი, შეეკვრენ საამხა-ნაგო პირობით ბერლინის მანგან-სინდიკატს, რომ-ლის მოვალეობაა საქონლისათვის ბაზრების მოპო-ვება, ქვის რიგიან ფასებში გაყიდვა და ადგილობ-რივ საწარმოვოდ ფულის მიცემა 6%-ით და სხვ.

როგორც სჩანს, ამ „შავი-ქვის საზოგადოების“ დაარსების მიზანი ფრიად საგულისხმო და სიმპატი-ურია, იგი ეხება ჭიათურის მრეწველთ, წარმოების

გაწესრიგებას და სამართლიან საფუძველზე დამყარებას, ამიტომ მას უნდა დაეხმაროს ყოველ მხრივ, როგორც ადგილობრივი პრესსა და ინტელიგენცია, აგრეთვე თვით უმაღლესი მთავრობა. ამ შავი-ქვის საზოგადოებას არა აქვს მარტო კომერციული ხასიათი, ეს იმავე დროს საზოგადო საქმეა და მისი ყოველი ზრდა და მოქმედება, რამდენათაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს აღნიშნული ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. სწორეთ ამ თვალით ვუცქერდით და ვუცქერთ ამ საქმეს და ამიტომ იყო, რომ სისტემატიურად ვაცნობდით მის ვითარებას მკითხველ საზოგადოებას (იხ. „ივერია“ №№ 186, 206 ⁄ 233, 1901 წ., აგრეთვე „ცნობის ფურცელი“ №№ 1688 და 1739). ზოგიერთ ვაჟბატონთ არ მოსწონთ ეს გულახდილობა, არ სურთ გაზეთის „ყბაში„ ჩააგდონ ეს საქმე, ისინი ბრძანებენ, რომ ეს საქმე ვიწრო კომერციულიაო; აქ ყველაფერი ფარული და საიდუმლო უნდა იყოსო და სხვ. საქმის გაუცნობელი პირი მართლაც შეფირქრდება ამ სიტყვებზედ; შეიძლება დაეთანხმოს კიდეც, და ვინც საქმეს გაცნობილია, მან კარგად იცის, თუ რა იფარება ამ სიტყვების უკან. ამ ვაჟბატონთ უყვართ სიბნელე და ბნელი ღამეები, უყვართ სიჩუმე და ფარულობა, რადგან... ტუჩი ღინღლში აქვთ გასვრილი, მაგრამ ეს ჩვენ შორის იყოს, მკითხველო. რა ვქნათ თუ „მეტიჩარა,“ „აბეზარ“ ქვარიანს და მის თანამოაზრეებს უყვართ სინათლე და სურთ ძალის-

ძალად შეიტანონ ანთებული ჟინჟღილი შავი-ქვის საზოგადოების საქმეთა წყვდიადში, რათა აჩვენონ ქვეყანას ამ საქმის მექანიზმის მავნე და ფარული აშკები!

ბბ. რგანელი და აბაშიძე ბრძანებენ, რომ გამგეობის არჩევით საზოგადოებას დიდი ხარჯები მოვიდოდაო, მოჰყავთ ხარჯთ-აღრიცხვა 30,900 მანეთისა საიდგანაც თავმჯდომარეს, დირექტორებს, ბუჰგალტერს და მოლარეს ეძლევათ სულ 12,700 მან. წლიურადო; ახლა-კი იხარჯება 4,200 მ. და სხ. აქ „დიდებული პუბლიცისტი“ გვიწუნებს არითმეთიკის ცოდნას. ჯერ ერთი ვკითხოთ ამ ორს რაინდს, თუ ვისი შედგენილია ეს ხარჯთ-აღრიცხვა 30,900 მანეთისა? ის შეადგინეს ვექილებმა და საორგანიზაციო კომისიამ შავი-ქვის საზოგადოების დაარსებამდე; იგი არ განუხილავს, ტ არც მიუღია საზოგადო კრებას. ეს ხარჯთ აღრიცხვის პროექტი არის მეტად სრული და ჭიათურა-ქუთაისის და ვგონებ ფოთის კანტორებზედ გაზომილი. მასთან მისი შემცირება შეიძლება სამჩნევად. აქ თავმჯდომარეს ეძლევა 3000 მ., მის მოადგილეს 2,500 მ., ორს დირექტორს თითოს 2000 მ. და სხ. ამის ნაცვლად შეიძლებოდა აგვერჩია მხოლოდ სამი კაცი: თავმჯდომარე 2000 მ. და ორი დირექტორი 800 მ. თითოს, მასთან ექნებოდათ კიდევ %% წმინდა მოგებიდგან, ჯერ ხანად ამ ფულს დასჯერდებოდენ საქმის მოყვარე კაცები. მასთან რადგან

ჯერ რთული საქმეები არ არის, ადვილად შეეძ-
ლოთ ეკისრათ ამათვე მდივნის, ბუჰგალტრის და
მოლარის თანამდებობა. ამ რიგად ამ პირთა წლი-
ური ხარჯი აღირიცხებოდა 12,700 მანეთით კი
არა, არამედ **5,600 მანეთით.** ბ-ნი კიტა ბრძანებს,
რომ დღეს საზოგადოებას წლიურად მარტო 4200
მ. ეხარჯებაო. აქ მცირე რამ გულმავიწყობა ემ-
ჩნევა ჩვენს არხიმედს. აქ უცაბედათ დავიწყნია მდი-
ვანი, რომელიც იღებს დღეს წლიურად 1200 მ.
და კიდევ მწერალი, რომელიც იღებს, თუ არ
ვცდებით, 200 მანეთამდე; (ნეტავ ბ-ნი ზდანოვიჩი
რამდენს იღებს კიდევ?). ასე რომ მათ დღევანდელ
ხარჯს შეადგენს სწორეთ 5,600 მან., გარდა ბ-ნ
ზდანოვიჩის და კომისიის წევრთა ჯილდოისა, ე. ი.
იმდენი, რაც მოუვიდოდათ გამგეობით ბ. რასაც
ვამბობდით წინეთ. ახლა გავიგოთ, თუ რა უპირა-
ტესობა ექმნებოდა გამგეობის არჩევას: გამგეობა
გაეცნობოდა ყოველივე საქმეებს და მთელს თავისს
დროსა და ენერგიას მოანდომებდა მათს მოწყობას,
ჩააყენებდა მათ აზრიან ფარგალში, ეცდებოდა მოე-
პოვა ჯგუფთათვის საჭირო ბაქნები და მით არ
გაამწვავებდა საქმეს, როგორც მოხდა დღეს, ვი-
ნაიდგან ზიდვენ ქვას საზოგადო ბაქანზედ. გამგეო-
ბის რომელიმე წევრი წავიდოდა ბერლინში ან
ლონდონში და ეცდებოდა გაეყიდა ქვა, ვინიადგან
დღეს ქვის გაუყიდობა სულს უხუთავს მთელს სა-
ზოგადოებას; გამგეობა უფრო ეფად, უფრო ბევრს

და უფრო აზრიანად იყიდდა მადნებს საზოგადოების წევრთათვის; გამგეობა კიდევ ბევრს სამნიშვნელო საქმეს ჩაიდენდა, რაიცა ძლიერ სასარგებლო იქმნებოდა მრეწველთათვის. დღეს-კი **ჭიათურის ბანკირებს და ბ-ნ ზდანოვიჩს არ სცალიანთ ამ საქმეებისათვის**, მათ თავიანთი საქმე აქვთ. ჭიათურის ბანკირებს არც შეუძლიათ და არც აქვთ უფლება გაეცნონ ამ საქმეებს; მათ მიანდვეს ქვის მიღება, საზოგადო ბაქნები, ფულის მიცემა და სხვა რამეზედ ხელი არა აქვთ. მაგრამ ამ სამართლიან და აზრიან ორგანოს, ე. ი, **გამგეობის დაარსება არ სურს ბ-ნ ზდანოვიჩსა და მის ვეზირებს, არ სურს ბ-ნ აბაშიძეს და რგანელს**. გამგეობის დაარსებით ბ-ნი ზდანოვიჩი ველარ იქნება საქმის ბატონი და მეთაური; მან ან უნდა დაანებოს თავი საბჭოს თავმჯდომარეობას (რასაც არ იზამს), ან შავი-ქვის საზოგადოებას. ამ რიგად ამ „უანგარო მოღვაწეს“ ალარ ექმნება წლიური ჯილდო 2,000—3,000 მან. გამგეობის დაარსებით იმ ორ ვეზირსაც მოაკლდება გავლენა და ბატონობა. გამგეობის დაარსებით არც კიტა აბაშიძეს და არც რგანელს ექნებათ ას-ასი მანეთი თვეში, აი რა აშფოთებს და რა აცხარებს ამ „უანგარო მოღვაწეებს“! დეე, ისევ საზოგადო საქმე დასნეულდეს, დაისეტყოს და დაზიანდეს, ვინემ ჩვენ მოგვაკლდეს უფლება, გავლენა და ჯამაგირებიო! **აი მათი ჭეშმარიტი აზრი და მიზანი!** მაგრამ ათასი რომ ილაქუცონ, იფარისევლონ და

ითვალთმაქცონ, მაინც დამკვირე კაცი ცნობს, თუ რა ედემის კენკერი ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები. მათ შეუძლიანთ შეცდომაში შეიყვანონ მხოლოდ გულუბრყვილონი და საქმის გაუცნობელი პირნი და არა სხვა. თუმც ცდილობენ ძლიერ გვეჩვენონ თეთრად და უმანკოდ, მაგრამ თქმულა:—„არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა“.

IV.

ბ. რგანელი და აბაშიძე ბრძანებენ, რომ 19 ჯგუფიდგან ხუთსაც არ უნდათ კერძო საწყობზედ ზიდვაო, ამხანაგობამ მიიღო 2 მილიონამდე ქვა, ქვის ფასი ასწია 8 და 9 კაპეიკამდე ტ დაურიგა მრეწველთ 350,000 მანეთიო; როდის იყო ქვის გაყიდვის შვენიერი მომენტებიო. დღეს ქვა იყიდება 8,75 და 9 პენსათო. სოიუზმა კიდევ შარშან გაყიდა ქვაო, თუ უსაზღვრო კრედიტი გაუხსნეს, რათ შესწყვიტა მუშაობაო და სხ. ყოველივე ეს თავიდგან ბოლომდე შემცდარი და დაუსაბუთებელი აზრია. იმ 19 ჯგუფში ვგონებ 2 და 3-იც არ იქნება, რომ ცალკე თავიანთ ბაქანზედ ქვის ზიდვა არ უნდოდეთ; აბა ვკითხოთ ყველა მრეწველთ თუ ასე არაა! როგორც ცნობილია, ყველა მრეწველი ერთგვარ ქვას ვერ ამზადებს; მასთან სხვა-და-სხვა ალაგს მდებარე მადნებიც სახვა-და-სხვა ღირსების ქვას იძლევა. ეს ღირსების სხვა-და-სხვაობა ბადებს საზო-

გადო ბაქნებზედ ქვის დაწუნებას, ფასების სხვა-დასხვაობას, ნათელ-მირონობას და დიდს უკმაყოფილებას. მაგრამ ყველაზედ ცუდი ისაა, რომ ქვის დაწუნების და ფასის დაკლების გამო საზოგადოების წევრთა თითქმის ნახევრობა, 70—80 კაცი, იძულებულნი შეიქმნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ და ხარჯები აღედგინათ, გარეშეთ ეზიდათ ქვა, რადგან სხვაგან იმ ქვაში უკეთესს ფასებს აძლევდნენ და არც იწუნებდნენ. ყველა ეს პირები კი სასტიკად დააჯარიმა გამგეობის წარმომადგენელმა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და კომიტეტმა, და ამ მოვლენამ გამოიწვია კიდევ მეტი უსიამოვნება. საოცარი ხალხია ეს სათავეში მდგომი „მოღვაწენი“! თითონ შექმნეს დამრეცი გზა, თითონ მიიყვანეს იმ ზომამდე, რომ ქვა სხვას უზიდონ და ამ მრეწველთ-კი აჯარიმებენ. ამ 19 ჯგუფში არის ორი, რომელნიც თავიანთ ბაქნებზედ ზიდვენ ქვას და კარგ ქვასაც, (მათ მისცეს ნება); მიუხედავათ იმისა, რომ ერთი ჯგუფის წევრნი შედარებით მცირე ფასს იღებენ, არც ერთს არ უღალატნია და ყველას მოაქვს ქვა. აი რას ნიშნავს თავის ბაქანი და ის შეგნება, რომ ეს ქვა, რაც ჩამომაქვს საკუთრად ჩემია და მის სიავე სიკარგეში მევე ვაგებ პასუხსო! ჩვენ ხალხს ჯერ არა აქვს კარგად შეგნებული საერთო მოქმედება და საზოგადო ბაქნების მნიშვნელობა და ამიტომ შედეგიც ისე ცუდია. ამგვარმა პოლიტიკამ სხვათა შორის ძირი გამოუთხარა კავკასიის მრეწვე-

ლთა პირველ ამხანაგობას და ვშიშობ, რომ „შავი-ქვის საზოგადოებასაც“ არ დამართოს ეგევე ზიანი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ე. ი. ორ მილიონამდე ქვის დამზადებას, ვიტყვით: ჩვენ რომ პირველი წერილი დავწერეთ 20—21 ივნის და გავგზავნეთ რედაქციაში, იმ დროს დამზადებული ქვა ბევრით არ აღემატებოდა ერთ მილიონ ფუთს. დღეს, ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში (მარტიდგან) ამოდენა საზოგადოებას დაუმზადებია მხოლოდ ორი მილიონი ფუთი ქვა. მერე ეს უკვირს კიტა აბაშიძსე?! მერე ეს საქმეა?! **ესაა მასსარობა და ჩხირ-კედელობა და არა საქმე.** მანგან სინდიკატთან პირობის ძალით ჩვენს კონტრაგენტს უნდა გაეყიდა წლიურად არა ნაკლებ ოცი მილიონი ფუთისა; მაშასადამე, თუ არა მეტი, ამდენივე ფუთი ქვა უნდა დაემზადებია საზოგადოებას, ანუ ექვს თვეში ათი მილიონი ფუთი; დღეს-კი დაუმზადებიათ მხოლოდ ერთი მეხუთედი; და ეს ამ ექვსს საუკეთესო თვეში! რაღას გააკეთებენ და ჩამოზიდვენ ზამთარში? აი, ამას ბრძანებს კიტა აბაშიძე, რომ დიდ საქმეს ვაკეთებთო! სწორეთ სასიცალოა, რომ სამწუხარო არ იყოს. ამავე დროს ექსპორტიორები ყიდულობენ და გააქვთ 10—12 მილიონი ფუთი და, თითქო საზოგადოება არ არსებობდეს, ისე მოქმედებენ ძველებურად. აი ამას ჰქვია საქმე!

მესამე: საზოგადოებამ ქვის ფასი 8—9 კაპეიკამდე ასწია და დაურიგა მრეწველთ 350,000 მა-

ნეთიო. ნუ გამოვეკიდებით აქ ამ ციფრს, **რომელიც** გაზვიადებულად მიგვაჩნია. ერთი გვიბრძანოს ბ. აბაშიძემ ვის აძლევდენ 8—9 კაპეიკს ფუთში? 8 კაპეიკს აძლევდენ მხოლოდ 2—3 კაცს ისიც ნასაკირევის და ვირი-კენჭას ან უუპირველეს მადნების გაწმენდილ ქვაში; **9 კაპეიკი არავისთვის არ მიუცია.** დანარჩენებისათვის კი საყოველთაო ფასი (მაზანდა) ჭიათურაში იყო 7 და $7^1/_2$ კაპეიკი და ჭიქოურაში 6 და $6^1/_2$ კაპ. აი რა ფასებს აძლევდნენ მრეწველთ! ჭეშმარიტად საოცარია ფაქტების ასე აშკარად დამახინჯება. ვინ უნდა დააჯეროს ბ-ნმა აბაშიძემ ამგვარი ლათაიებით?! ახლა რამდენი ქვა დაიწუნეს („დაბრაკეს") და დაიტოვეს! დღეს ამ ფასებსაც ალარ იძლევიან. ექვს აგვისტოდან შეაჩერეს ერთიანად ქვის მიღება და უარესს მდგომარეობაში ჩაყარეს საზოგადოების წევრნი, ამით ისარგებლეს ექსპორტიორებმა, დაუწიეს ფასები და მოითხოვეს უკეთესი ქვა.*)

ამ ექვს თვეში 350,000 მანეთი დავურიგეთ ხალხსაო. დიდი რამე მომხდარა. ერთი ვიკითხოთ,

---

*) ეს პასუხი უკვე დაწერილი იყო, როცა შევიტყვე, რომ ამ ორშაბათს, ე. ი. 26 აგვისტოს ისევ დაუწყიათ ქვის მიღება, ხოლო დაუკლიით ფუთზედ თითო კაპიკი, ე. ი. ჭიათურაში იძლევიან 6—$6^1/_2$ კაპ. და ჭიქოურაში 5—$5^1/_2$ კაპ. ფუთზედ, რამაც გამოიწვია მრეწველთა შორის დიდი უსიამოვნება. ამავე დროს იტვირთება ფოთში „სოიუზის" გემი და ამ ფირმას აქვს გაცხარებული მიღება ქვისა. ვგონებ არაა ძნელი გამოსაცნობი, თუ რად დაუკლეს ფასები!..

ავტორი.

თუ რაა ეს ფული? ეს გახლავთ **ვალი და მხოლოდ ვალი**, რომლისთვისაც იხდიან სარგებელს და რომელსაც სიმწრით ამოწვდიან ერთ დროს და წაამწარებენ მრეწველთ, რადგან მანგან-სინდიკატს უკავია ხელში თითქმის ერთი მილიონი მანეთის ვექსილები და მრეწველთა მადნებიც საზოგადოეების სახელზედაა გადაცემული. ამ ფულიდან რომ გამოვქვითოთ 20—30,000 მ. სოიუზისათვის და 40,000 მ. მადნების შესაძენათ, დარჩება 280,000 მ. აი ეს ფული დაურიგდათ ექვს თვეში 188 მრეწველთ, მათ მუშებს, ჩალვადრებს, მწონავთ და ისე მოსამსახურეებს, აგრეთვე გარეშე პირთ, რომელნიც ქვას ეზიდებოდნენ ამათ ბაქნებზედ. აი, ამას ქვია დიდი საქმის გაკეთება...

მეოთხე: ქვა იყიდება 8,75—9 პენსათო, ან როდის იყო ქვის კარგად გაყიდვის მომენტებიო და სხვ. ერთი კითხეთ ბ-ნ აბაშიძეს, თუ რომელ ბირჟიდგან მიიღო ეგ ცნობა! მოვახსენებთ პატივცემულ მკითხველს, რომ შავი-ქვის ფასების ოფიციალური კოტიროვკა (განცხადება ბირჟაზედ), ისე როგორც რკინა-ფოლადის, პურის, აბრეშუმის და სხ. ჯერ არსად არ არსებობს. დღემდე ყველა ფირმას და ქარხანას თავისი საიდუმლო ფასი აქვს, დღემდე ყველა ექსპორტიორი საიდუმლოთ ინახავს თავის გაყიდულობის ფასს. მიუხედავად ამისა გამოცდილ კომერსანტს დაახლოვებით შეუძლია გაიგოს ქვის ფასი ევროპის ბაზარზედ. როგორც

ამბობენ, ამ ექვს თვის განმავლობაში ეს ფასი ქანაობდა 9—9$^1/_2$ პენსამდე ერთეულ მეტალში ტონზედ. რომ მივიღოთ სახეში მეტალის 50% და ზღვის ფრახტი 12 შილინგი, მოუდის ფუთ ქვას ფოთში 18$^1/_2$—20 კაპეიკი. აქედან რომ გამოვქვითოთ რკინის-გზის ფრახტი და სხვა ხარჯები, სულ 11 კ. და კიდევ 1$^1/_2$ კ. მანკოთ და სინესტეთ, დარჩება პატრონს ფუთზედ წმინდა წონით 6—7$^1/_2$ კაპ. და არა 5—6 კაპეიკი, როგორც ბრძანებს ბ-ნი კიტა აბაშიძე, რომელსაც ცოტა არ იყოს ეშლება ანგარიში. ახლა ამას უნდა მივუმატოთ ჩვენ კიდევ სტივაჟი, დისპორჩმანი და სხვა წვრილმანი შემოსავალი გემის დატვირთვის დროს, სულ 1 კაპეიკამდე; მაშინ იქნება 7—8$^1/_2$ კაპ. ფუთზედ წმინდა წონით. ეს ფასები რომ „სკიტკაზედ“ გადავიტანოთ, მოუვა ფუთს ჭიათურაში 8,4—10 კაპეიკი. ახლა კიდევ თუ მივიღებთ სახეში, რომ გაყიდული ქვა აღემატა 50% და გამოვიდა 51—52%; ეგრეთვე თუ ზღვის ფრახტს 12 შილინგის მაგიერ მივიღებთ 9—10 შილინგს, როგორც იყო ამ სამი თვის წინეთ, (ახლა ფრახტმა სამჩნევად აიწია, რადგან ზაფხულია, გემები დაბნეულია ჩრდილო ზღვა-ოკიანებში და მასთან პურს ეზიდებიან), მაშინ ფუთ ქვას მოუვა ფოთში 21—23 კაპეიკი, და ჭიათურაში 8$^1/_2$—11 კაპ. წმინდა წონით. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ის კანონიერად თუ უკანონოთ, მაგრამ უფასოდ-კი გადატანილი ფუთები შორაპნამ-

დე, ან ფოთამდე, რაც კაი ხანია დამყარდა ჭიათურის პრაქტიკაში და ადვილად ცნობთ, თუ რამდენად სამნიშვნელოა ქვის გაყიდვა 9 პენსათაც-კი. ეს იცის ყოველმა შეგნებულმა მრეწველმა, ეს იცის კარგად ყოველმა მსყიდველმა და ექსპორტიორმა, ეს არ ცოდნებია მხოლოდ „დიდებულ პუბლიცისტს“ ბ-ნ კ. აბაშიძეს. ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ უნივერსიტეტის ცოდნით აღჭურვილი კაცი თითქმის ორი წელიწადი ტრიალებდეს საწარმოვო ცენტროში, ე. ი. ჭიათურაში, იყოს ბანკის გამგეთ და ქვის ფასების ვითარება და ანგარიში არ იცოდეს, მაგრამ ნუ გავამტყუნებთ, მკითხველო! ბინძური ჭიათურა თ. აბაშაძის ბინას და შესწავლის ინტერესს არ წარმოადგენს. ამას ეჭირვება შეწუხება, შრომა და გასვრა შავ მტვერში, ეჰ-კი. თავად აბაშიძის ნაზ აგებულებას არ ეხამება. ეს ექს-ფეოდალი ან ბრძანდება და ისვენებს თავისს რეზიდენციაში, (ს. კაცხში), ან ქუთაისში მასლაათობს, ან ტფილისში აცხობს თავის „კრიტიკის“ და პოლემიკის შედევრებს. ჭიათურა და შავი-ქვა რა მაგის საქმეა?! მაგას მიართვით მხოლოდ ჯამაგირები, ბევრი ფულები და სხვას ნურას მოჰკითხავთ. რა ქნას, შაგირდმა უნდა წაბაძოს თავის ოსტატს.

V

ბარდა იმ რეალურ სარგებლობისა, რაც ჩვენ აღვნიშნეთ $9—9^1/_2$ პენსად ქვის გაყიდვის

შედეგად, ამ გაყიდვას აქვს კიდევ სამი და ოთხი დიდი მნიშვნელობა: 1) „შავი-ქვის საზოგადოება“ ამ გაყიდვით აცნობს თავის საქონელს მსოფლიო ბაზარს, რამდენობით იკავებს მას და მით უწევს მეტოქობას ექსპორტიორებს და გარე ქვეყნების ქვას. 2) მოდის მოძრაობაში საზოგადოების ადგილობრივი მექანიზმი და ყოველი მისი წევრი ფხიზლად და მხნედ ეკიდება საქმეს. 3) მადნებში ჩადგება მუშაობა და მრეწველთ აღარ მოუვათ ის დიდი ზარალი, რაც დღეს მრავალს მოსდით მუშაობის შეჩერებით ან შემცირებით, ე. ი. აღარ დაუნესტიანდებათ და დაენგრევათ მაღაროები (ტუნელები) და აღარ გაუვათ ტყვილ-უბრალოდ ხარჯი შტეიგერზედ, თავდგმურზედ, კანტორაზედ, მაღაროს გამაგრებაზედ და სხვ. და 4) ფარავს $^0/_0/^0_0$-ს, რომელთაც შობს ნასესხი ფული და მასთან ქვის გაზიდვით ადგილობრივ უწევს მეტოქეობას ექსპორტიორებს. მაშინ ასში ერთი თუ გამოჩდებოდა საზოგადოების წევრთაგან, რომ მიეტანათ ქვა სხვებისთვის, რასაც დღეს ჩადიან 70 და 80 კაცი. ყოველივე ამის მიხედვით საზოგადოებისათვის დიდ ინტერესს შეადგენს ქვის გაყიდვა 9—$9^1/_2$ პენსადკი არა $8^1/_2$ პენსადაც-კი. ამიტომ იყო, რომ ერთი ჯგუფის გამოცდილი წარმომადგენელი ბ-ნი ნ. ყიფშიძე გაიძახოდა 11 სეკდემბრის სხდომაზედ: — „გამაყიდინეთ ქვა და მოგვეცით ავანსად $5^1/_2$—6 კაპიკიო“. ამიტომ იყო, რომ ჩვენ გვსურდა ძლიერ

საზოგადოების ქვის გაყიდვა და იმავე სხდომაზედ წარმოვსთქვით შემდეგი მანგან-სინდიკატის წინადადებაზედ:—„მიეცეს ნება მანგან-სინდიკატს გაყიდოს ქვა მაზანდაზედ ათ მილიონ ფუთამდე ამ პირველ ექვს თვეს იმ პირობით, რომ მოგება-წაგებაში იყოს სრული ამხანაგი თანახმად კონტრაქტისა და ავანსადაც მოგვეცეს იმდენი ფული, რაც საჭირო იქმნეს ქვის დასამზადებლად და ჩამოსატანად ჭიათურაში“ და სხ. (იხ. ოქმი LXXVIII). მაგრამ ყურიც არ ათხოვეს ამ ჩვენს სიტყვას. მანგან-სინდიკატს მოთხოვეს იმგვარი პირობა ქვის გაყიდვისა, რომელიც მან ვერ შეასრულა და ქვაც დღემდე დარჩა გაუყიდავი.—მკითხავენ: როდის იყო ქვის გაყიდვის კარგი მომენტებიო. კარგი მომენტები გახლდათ **შარშან სექტემბრიდგან ამა წლის მაისამდე, როცა ქვა ფასობდა 9—9½ შენსად და ზღვის ფრახტი დაეცა 9—10 შილინგზედ**. აი ამ ხანებში უნდა გაეყიდათ ქვა, ვისაც-კი ქონდა ერთი ფიორი კომერციული ალღო! აი სწორედ ამ ხანებში იყო, რომ გაყიდეს ქვა ბერძნებმა, ბართლ. მოსეშვილმა, ოგანეზოვმა, ფორუდმა, შეტცმა და პანასემ; ამ უკანასკნელმა გაყიდა 15 მილიონი ფუთი *). სწორედ ამ ექსპორტიორების ქვა იგზავნება დღეს ევროპა-რუსეთში, სწორედ ესენი მოქმედე-

*) ეს წერილი დამთავრებული გვქონდა, რომ გავიგეთ კაკაბაძეებს, თ. პ. წულუკიძეს და ჩუბინიძეს გაუყიდიათ ევროპაში ქვაო. ავტორი.

ბენ და იგებენ ფულს. „შავი-ქვის საზოგადოება“-კი ამ დროს ყლაპავს ბუზებს და ნაყავს წყალს უმნიშვნელო ლაყბობით, მასთან ეზიდება ჩუმად ქვას ექსპორტიორთა ბაქნებზედ და მით ამაგრებს თავიანთ მტერთ. ყოველივე ეს მოხდა, როგორც მანგან-სინდიკატის გამგეობის, აგრეთვე შავი-ქვის საზოგადოების მეთაურთა **უვიცობით**, **უდიერობით** და **გამოუცდელობით**, რომ მეტი არ ვსთქვათ. ვიმეორებ, საჯარიმონი ის 70 მრეწველი-კი არაა, რომელნიც ჩუმად უზიდვენ ქვას გარეშე პირთ, არა, საჯარიმო ის ვაჟბატონებია, რომლებმაც თავიანთი უვიცობით და სხვა-და-სხვა მოსაზრებით შეაჩერეს საზოგადოების მოქმედება, ვერ გაყიდეს ქვა, მისცეს ჯგუფებს ბაქნები და მით დააყენეს მრეწველნი ცუდ გზაზედ და ჩააყენეს იმგვარ პირობაში, რომ იძულებული ხდებიან სხვებს მიყიდონ ქვა, რომ შიმშილით არ მოკვდენ. სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ გამგეობის მეთაური ბ-ნი ზდანოვიჩი ვერ გახლავთ დახელოვნებული მარგანეცის საქმეებში და ოპერაციებში. ამას ყველაზედ უკეთ გრძნობს თითონ. შეიძლება ბ-ნი ზდანოვიჩი ბრძანდებოდეს კარგი ტეორეტიკი და მცოდნე კაცი, მაგრამ რაც შეეხება პრაკტიკულ ნიჭს, კომერციას და მარგანეცის საქმეს, იგი ამათში სამწუხაროდ სამჩნევად გამოუცდელია და სუსტი. ამაში ღრმად დავრწმუნდით 10 თვის განმავლობაში მასთან ერთად მუშაობით და დაკვირებით. ამ ახალ

კომიტეტში და ვექილებში სამ-ოთხ კაცს თუ ეს-მით რიგიანად შავი-ქვის საქმე. თვით ეს შავი-ქვის საზოგადოება, მისი მიზანი და მისწრაფებანი კარგია და სიმპატიური, მაგრამ მას არ ყავს **შესაფერი მეთაურნი** და მით იჩაგრება და სნეულდება მისი საქმენი. **აი ეს გვაწუხებს, აი ეს გვალაპარაკებს!**

დაბოლოს ბრძანებენ: „სოციუზმა“ კიდევ შარშან გაყიდა ქვაო; თუ კრედიტი გაუხსნეს, რათ შეწყვიტა ქვის მიღებაო და სხვ. ოჰ, ეს „**სოციუზი**“! ეგ არის ის უხილავი რიფი, ის სცილლა და ხარიბდა, რომელიც ღუპავს გემებს! ოო, ბევრი, ბევრი რამ შეიძლება ვიბაასოთ „სოციუზზედ“, მაგრამ ვშიშობთ მეტად შორს წაგვიყვინს; ეს წერილი ისედაც გაგრძელდა ჩვენდა უნებურად. ამიტომ ახლა გაკვრით ვთქვათ „სოციუზზედ“ და სხუმის უფრო ვრცლად ვისაუბროთ ამ ფირმის ისტორიაზედ და ოდისეიაზედ.—„სოციუზმა“ კიდევ შარშან თებერვალში მიყიდა ჰირშს ბერლინში $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა $23^1/_2$ კაპეიკათ ფუთი კომისიონერ როზენბერგის საშუალებით ბავანსათაც მიიღო 25000 მანეთი. შემდეგ ქვა უფრო და უფრო დაეცა ფასებში და დავიდა ფოთში 16—17 კაპეიკზედ. ამ რიგად ჰირში ზარალობდა ფუთზედ ექვს კაპეიკს, ანუ სულ 150.000 მანეთს. (რა მიზეზით იყიდა გამოცდილმა ჰირშმა „სოციუზიდან“ ქვა $23^1/_2$ კაპეიკში, იმ დროს, როცა ფოთში ფასობდა 19—20 კაპეიკს, ამაზედ აქ არას ვიტყვი, ეს გრძელი საინტე-

რესო ისტორიაა). ჰირშმა რამდენჯერმე სთხოვა „სოიუზს“ ფასის დაკლება; „სოიუზი“ უარობდა და ბოლოს დაუკლო მხოლოდ 1/2 თუ ერთი კაპეიკი. ჰირშისთვის ეს დაკლება არ იყო დიდათ სანუგეშო. ამაზედ მიწერ-მოწერა ბ. ზდანოვიჩს ართმევდა საკმაო დროს. როცა ზდანოვიჩი წაბრძანდა შარშან ნოემბერს ბერლინში, პირადათ ნახა ჰირში, მაგრამ მან არ მიიღო „სოიუზის“ პირობა, რითაც დიდ ფულს ზარალობდა იგი. ამას მოყვა შედეგად ის, რომ ჰირშს არ გადასცეს ჭიათურის მრეწველთა (შემდეგ შავი-ქვის საზოგადოების) კონტრაქტი, რაც მეტად სურდა თითონ ჰირშს. ამრიგად **ზდანოვიჩმა მოაშორა საქმეს ეს დიდათ ცნობილი** და **მეტალურგიის საქმეში დახელოვნებული ფირმა, ადგა და მრეწველთა სახელით კონტრაქტი შეუკრა მანგან-სინდიკატის გამოუცდელ და შავი-ქვის საქმეთა უვიცს წევრთ.** ჰირშმა ირჩია 25,000 მანეთის დაკარგვა, რომელიც „სოიუზმა“ მიიღო ავანსად. როზენბერგმა-კი გამოიწვია ჰირში სამედიატორო ხამსჯავროში.

ამ დროს ქუთაისში ჩამობრძანდა ბ-ნი ზდანოვიჩი და შევუდექით საქმეს. ეს იყო ამა წლის იანვარ-თებერვალში. ამ დროს ვექილთ უნდა მოეწერათ ხელი შავი-ქვის საზოგადოების პირობაზედ, მაგრამ ამ საზოგადოებაში სურდა შემოსვლა „სოიუზს“, მას მისცეს კიდევ წინეთ, წლიურად ოთხი მილიონი ფუთის ვალდებულება და ამ რიგად ის

იღებდა ავანსათ კიდევ 20,000 მანეთს. ეს ფული უნდოდა „სოიუზს“. სოიუზის გაშლილი მადა ამით არ ისაზღვროდა. მას სურდა, რომ ახლა მანგან-სინდიკატს მიეღო 23 კაპეიკში ის $2^1/_2$ მილიონი ფუთი, ჰირშზედ გაყიდული. ეს მეტად დიდი სურვილი იყო, მაგრამ არა შეუძლებელი. „სოიუზი“ მაგრად გრძნობდა თავს, რადგან დამხმარედ ყავდა მისთვის ერდგული და თავდადებული, თავის ძველი ნავექილარი და ნაამაგდარი ბ-ნი ზდანოვიჩი. შეიქმნა დეპეშის ფრენა ბერლინსა და ქუთაისში. ვაჩერეს აქ ერთი თვე ხალხი, არ დაურიგეს ფული და არ შეადგინეს იურიდიულად შავი-ქვის საზოგადოება მანამ, სანამ არ მიაღებინეს მანგან-სინდიკატს 23 კაპეიკში „სოიუზის“ $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა. მანგან-სინდიკატი ჯერ ცივს უარზედ იდგა, მაგრამ მათი 200,000 მანეთი ხელში ეკავა ბ-ნ ზდანოვიჩს და თავს გულადათ გრძნობდა. აქედან წერდა იგი დეპეშით კომისიის და ვექილთა სახელით, რომ მრეწველები არ ადგენენ საზოგადოებას, არ სურთ თქვენთან საქმის დაკავება თუ „სოიუზი“ არ შამოვიდა ამ საერთო საქმეშიო. „სოიუზი“-კი ისე არ შემოდის თუ ეს $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა არ მიიღეთ 23 კაპეიკშიო. ამ რიგად ამ ვაჟბატონებმა შვენივრად ისარგებლეს მრეწველებით, თვით მანგან-სინდიკატი ჩააყენეს ისეთ საშინელ მდგომარეობაში, რომ volens-nolens აიძულეს „სოიზის“ $2^1/_2$ მილიონი ფუთის მიღება 23

კაპეიკში. ამ რიგად ეს კონტრაგენტი შეიყვანეს 80—100,000 მანეთის აშკარა ზარალში და ამ ფულით ისარგებლა მარტო „სოიუზმა“.

აი, ამ ბ-ნი ზდანოვიჩის საქციელს, ამ მიწერ-მოწერას იყო, რომ ვეწინააღმდეგებოდით სასტიკად; ვმზერდით, თუ რა სამწუხარო შედეგი მოყვებოდა ამ ძალ-დატანებას; ვამჩნევდით, რომ იმ დიდ ზარალს მანგან-სინდიკატი, კანონიერად თუ უკანონოთ, (გემების დაფრახტის დროს ან ქვის გაყიდვით და ნიმუშის აღებით), აიღებდა თვით შავი-ქვის საზოგადოებიდან, ე. ი. იმ 184 წვრილ მრეწველებიდან. ამიტომ იყო, რომ ერთ სხდომაზედ „სოიუზის“ ერთმა წევრმა დაგვიძახა: „სიმონ ქვარიანო, შენ გინდა, რომ „სოიუზი“ არ იყოს ამ საქმეშიო!“ პასუხად მოვახსენეთ: „ჩემთვის სულ ერთია, „სოიუზი“ იქნება თუ არა ამ საქმეში; ხოლო არ მსურს, რომ მანგან-სინდიკატმა ძალად მიიღოს ეგ თქვენი ცალკე პირობა და მით ეზარალოს მთელის შავი-ქვის საზოგადოებასა-თქო: არ მსურს, რომ ორასი მრეწველი ემსხვერპლოს ოთხ კაცსათქო. („სოიუზი“ შესდგება 4 კაციდგან.) აი ამის შემდეგ უფრო შევძულდით ბ. ზდანოვიჩს და „სოიუზს“. თებერვალში, ამა წელს და არა შარშან, მანგან-სინდიკატმა ყოველი ღონე მიიღო, რომ გაეყიდა როგორმე ეს ძალად მიღებული „სოიუზის“ ქვა და გაყიდა კიდეც, (რა ფასში ჩვენ არ ვიცით), ხოლო სამი დიდი გემი წაიღეს კიდეც და

ახლაც იტვირთება ფოთში ერთი დიდი გემი*). „სოიუზს“ გაუხსენეს კიდევ ცალკე კრედიტი; იგი თავის ბაქანზედ ყიდულობს საუკეთესო ქვას და მით სურს მონათლოს თავის წინანდელი მარგანეცი. იგი ხან შეაჩერებს მიღებას, ხან აფართოვებს, ეს მაზანდაზედაა დამოკიდებული. „სოიუზს“ კიტა აბაშიძე ვერ ასწავლის ჭკუას და მოხერხებას. ამ წუთას დასცეს ჭიათურა-ჭიქაურაში შავი-ქვის მაზანდა და სწორეთ ახლა აქვს „სოიუზს“ გახურებული მიღება. მეთევზემ იცის, სად ისროლოს ბადე და როდის ითევზაოს.

VI.

„ქვარიანს ეგონა გამგეობაში მაინც ჩავდგებიო, ქვარიანს უნდა წამოსკუპდეს მისთვის შეუფერებელს ადგილზეო და სხ., ბრძანებს რიხით აბაშიძე. ამ წინადადების პირველი ნაწილი ურცხვი ცილისწამებაა, მეორე ნაწილი-კი უსამართლობა. აქ გულთმისნობას ჩემობს „დიდი კრიტიკოსი“; სურს გაიგოს ქვარინის ფიქრები და აზრები. ვისწრაფით დავამშვიდოთ ცხარე ოპონენტი, რომ გამგეობაში შესვლა არ მქონებია გადაწყვეტილი. მართალია, მომმართეს მრავალმა მრეწველმა, ვექილებმა და მთხოვეს გამგეობაში დირექტორობა, მთხოვეს წამომეყენებინა კანდიდატუ-

---

*) ეხლა ეს გემი წასულა კიდეც.

ავტორი.

რა კრების დროს, მაგრამ **უარს ვეუბნებოდი და თანხმობას არავის ვაძლევდი**. დასამტკიცებლად კიდეც ვთხოვე აპრილში თუ მაისში ერთ შეგნებულს და პატივცემულ წარმომადგენელს (ვექილს) ბ-ნ ფ. კიკნაძეს, რომ თუ ვინიცობაა მოხდეს ჭიათურაში კრება, იქ ვერ დავესწრო, მოინდომეს ჩემი გამგეობაში არჩევა და დამიდგეს ყუთი, **არაფერი გზით არ დაადგმევინოთქო**. იძულებული ვართ ვსთქვათ, რომ საკმაოდ მქონდა ნაშრომი ამ საქმეში და შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მეკისრა გამგეობაში დირექტორობა, თუ მას მრეწველნი დააფასებდნენ და ერთხმად ამირჩევდნენ. მართალია გვიყვარდა საქმე, ქვსურდა გვეშრომნა გულით ამ შავი-ქვის საზოგადოების საკეთილდღეოთ, თვით თანამდებობა კი და ჯამაგირი სრულებითაც არ მვხიბლავდენ. თვით განთავისულება საზოგადოების წევრობიდგან ვითხოვე კიდევ შარშან 23 ოქტომბერს, მადნების უქონლობის გამო, მაგრამ ეს კითხვა კომისიამ დასტოვა ახდილად (იხ. ოქმი XLIII) და ჩემი 5000 მან. ვექსილები დღესაც გირაოდ დევს ბერლინში მანგან-სინდიკატის კანტორაში. ჩემი დირექტორობის კანდიდატურა, როგორც გავიგე სარწმუნო წყაროდან, წამოაყენეს თურმე ვექილითა კრებაზედ ამ ორი-სამი თვის წინად, ნუ გაგიკვირდებათ! თვით **ბ-ნმა ზდანოვიჩმა და მისმა ვეზირებმა** დიახ, **ბ-ნმა ზდანოვიჩმა და მისმა ვეზირებმა**! ეს იყო ვგონებ მაისში; მაგრამ ამ ბატონებს სულ სხვა მიზნები ამოქმედებდათ. მათ

სურდათ ორი კურდღელის დაჭირვით: ხალხიც დაემშვიდებინათ და ქვარიანის გულიც მოეგოთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ქვარიანი არ მოხიბლა მათმა ამგვარმა ერთგულებამ. **ჩვენ არ ბრალს ვუდებთ სინდისს და სამართლეს!** მოგმიტევეთ, რომ ასე გულწრფელად მოგახსენებთ. ამ რიგად **არას დროს არ მოგვასურვებია გამგეობაში დირექტორად გასვლა**, ამისათვის არ გაგვიჩენია ზოგიერთებივით კლაკიორები და აგენტები, არ გაგვიცხადებია გაზეთებში და ამათსავით არ გვიწერია ლანძღვა-გინებით სავსე სააგიტაციო წერილები.

რაც შეეხება იმ აზრს, თითქო ჩემთვის შეუფერებელია დირექტოროობის ადგილი, სამწუხაროდ ამაზედ ჩვენ თითონ არაფერი გვეთქმის. ჩვენ თავზე რომ ვილაპარაკოთ, არაა ლამაზი. მეტად-კი დაგვავალებდა ბ-ნი აბაშიძე, რომ ებრძანებია ისიც, თუ რატომ არის ეს ადგილი ქვარიანისთვის შეუფერებელი. თუ ფიქრობს ქვარიანს რუსის დიპლომი არა აქვსო, მაშ ყოველივე რიგიანი ადგილი შეუფერებელი ყოფილა ბბ. ნიკოლაძისათვის, ილია ჭავჭავაძისათვის, ა. ფურცელაძისათვის და თვით მის სათაყვანებელ ზდანოვიჩისათვის, რადგან არც ერთს ამათგანს არა აქვს რუსის დიპლომი, თუ მართლა მარტო დიპლომზედაა საქმე და თუ სხვა რამეა, ეგ არ ვიცი. მართალია, არა გვაქვს რუსის დიპლომი, მაგრამ იქნებ გვაქს ევროპის დიპლომი. კიდეც რომ არაფელი დიპლომი ქონდეს კაცს, მაშ იგი არ ვარ-

გა?! თუ აგრეა, თუ მარტო დიპლომით ისაზღვრება კაცის ღირსება, მაშ დიდი მეცნიურნი ბოკლი, ლინეი, ფარადეი, ედისონი და მრავალი სხვა, ყველა უვარგისი ყოფილან, რადგან ამ დიდებულ პირთ არც ერთს დიპლომი არ ქონიათ და ზოგი მათგანი სკოლაშიაც-კი არ ყოფილა?! მაშ ყველა ამ მეცნიერებზედ მაღლა მდგარა ბ-ნი კიტა აბაშიძე, რადგან ამ თავადს რუსის გაშანშალებული დიპლომი აქვს ხელში, მაგრამ ყრია-კი რამე თავში?! Deductio in absurdo ბ-ნი აბაშიძის მსჯელობას ქვია.

რგანელი და კიტა აბაშიძე იგონებენ მესამე „სიეზდს“ და მოყავთ თავისებურად გარდაქმნილი ეპიზოდები. ბევრად ერჩიათ ამ პირთ კრინტიც არ დაეძრათ შარშანწინდელ „სიეზდზედ“, სადაც საბჭოს პარტიამ იჩინა თავი „პატიოსნური“ მოქმედებით. ამ გახსენებით ამ ორმა რაინდმა სწორეთ დათვის სამსახური გაუწიეს თავიანთ კერპს. სამწუხაროდ ამ წერილის ვიწრო ფარგალი არ გვაძლევს ნებას შევსჩერდეთ ამ საგანზედ და მკითხველს დავუხატოთ ნათლად მათი მაშინდელი ომი და საბრძოლი იარაღები. ამას-კი ვიტყვი, რომ საბჭოს პარტიამ თავიანთის არა საქები იარაღებით ბევრად გადააჯობა მათგანვე გმობილ კალისტრატიზმს. დანოსი მოსყიდვა,, მუშტი, ხმალი, ფული ქალები... ყველაფერი იყო მოძრაობაში მოყვანილი თავიანთ მიზნის მისაღწევად... ოჰ, ბევრად ურჩევნიათ მაგ ვაჟბატონებს, რომ არ აგვიშალონ წარსულ ჭრილობათა

იარა და არ გვათქმევინონ ყველაფერი! არ გვსურს გამოვეკიდოთ ძველ დავთრებს, მაგრამ თუ არ მოგვასვენებენ, მაშინ...

VII.

ჟიათურის ბანკის დაარსება და კრედიტზედ კითხვა ზდანოვიჩის ინიციატივაო, ქვარიანს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავსო და სხვა-და-სხვა, ბრძანებს რიხით ბ-ნი აბაშიძე. ამაზედ უფრო უკუდო შეცდომა, ჩვენს დღეში არ გვსმენია. საბუთების დავიწყება-კი შეიძლება, მაგრამ ეგრე?! აი ორიოდე სიტყვით ბანკის ისტორია: მრეწველთა პირველს კრებაზედ 1896 წ. ბ-ნ ზდანოვიჩს წარუდგენია მოხსენება იაფი სესხის ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ გარკვეული ამ მოხსენებაში არაფერია. ავტორი გაყოლია უტოპიურ აზრს სამონოპოლიო სინდიკატის დაარსების შესახებ და მხოლოდ იმ პირობაში ცნობს სესხს სასარგებლოდ, თუ დაარსდება ამგვარი სინდიკატი, რაიცა ყოვლად შეუძლებელი იყო. შემდეგ მთავრობამაც უარი უთხრა, უკანონოდ სცნო და არ მისცა ამგვარი სინდიკატის დაარსების ნება. წვრილ მრეწველთათვის მავნებლადაც ცნობდა ამგვარ კრედიტს ბ-ნი ზდანოვიჩი. ამავე აზრის იყვნენ ყველა ექსპორტიორები. ამრიგად იმ თავითვე გამოხატულა ბ-ნ ზდანოვიჩის მოღვაწეობის ფიზიანომია და მისი მიდრეკილება სხვი-

ლებისდმი (იხ. Труды перваго и втораго съѣздовъ м. промышленниковъ 1900 წ. გვ. 35—39 და 62—72). ამის წინააღმდეგ პასუხი მიუციათ და წვრილი მრეწველის ინტერესი დაუცავთ ენერგიულად ბბ. გ. ჩუბინიძეს და ინჟინერ კონშინს. აი რას ბრძანებს ამის შესახებ ბ-ნი ზდანოვიჩი: „**კრედიტი ორპირი იარაღია, ის სასარგებლოა მდიდრებისათვის** და **ხშირად დამდუპველია ღარიბთათვის**. შეუძლებელი მრეწველი, ვალით დატვირთული და სავადო გარდასახადებით გამწარებული, ხშირად უფასოდ კარგავს თავის საქონელსო“. გვარიანი სოფისტიკაა, არა, მკითხველო! აი ამაზედ ბ-ნ კონშინის პასუხი: „**კრედიტი (სესხი) ეჭირვება ღარიბებს და სრულებითაც არაა მათთვის საზიანო. ეს შეიგნო ახლა მთავრობამაც და მიდის მათ დასახმარებლად სხვა-და-სხვა სახის კრედიტით**. დაადგინეს: მიენდოს საბჭოს თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს მომავალს კრებას. (იქვე გვ. 38—39).

როგორც ჩანს, მეორე „სიეზდზდ“ 1897 წ. საბჭოს და მის მეთაურს ბ-ნ ზდანოვიჩს არ წარმოუდგენიათ არავითარი წერილობითი მოხსენება და მოსაზრებანი; ეს არ სჩანს „სიეზდის“ „შრომაში“. ხოლო სიეზდის თავმჯდომარეს ბ-ნ ცეიტლინს მიუმართავს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებისთვის წარმოეთქვათ თავიანთი აზრი. ამათში ყველაზედ უფრო სამნიშვნელოთა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოხსენება. მან მიაქცია კრების ყუ-

რადღება იმ გარემოებას, რომ ყველა ჭიათურის მრეწველს შეუძლია მიიღოს სესხი ვარრანტის სახით ფოთის ქალაქის მმართველობის საშუალებით 6 %-დ და უფრო იაფადაც, ე. ი. 4½ %-დო, რადგან ქალაქი გამართავს საქონლის საწყობებს ფოთში, ჭიათურაში, შორაპანში და ზესტაფონშიო“. კრედიტის შესახებ იმ კრებაზედ ბ-ნ ზდანოვიჩის **გრანტიც-კი არ დაუმრავს**. (იხ. Труды I и II съѣздовъ, გვ. 7—11). ახლა ვისმინოთ, თუ რა მოხდა მესამე სიეზდზედ“. არამც თუ წარმოადგინა ბ-ნმა ზდანოვიჩმა რაიმე მოხსენება კრედიტის შესახებ, არამედ **გასარჩევ კითხვათა სიაშიაც-კი არ შეიტანა იგი**. ამ რიგად მოუსპო ყველას საშუალება ქონოდათ კამათი კრედიტზედ, რომელიც ისე საჭირო იყო იმ დროს წვრილ მრეწველთათვის. რატომ არ შეიტანა ბ-ნ ზდანოვიჩმა ეს კითხა სიეზდის პროგრამაში? რატომ არ წარმოადგინა ამ კითხვაზედ თავისი მოხსენება? რატომ არაფერი სთქვა სიტყვიერად მაინც? ყოველივე ეს ადვილი ასახსნელია. პირველი, მთავრობამ სცნო უკანონოდ და არ დაამტკიცა მისი პროექტი საერთო სინდიკატის შესახებ, უმისოდ-კი ბ. ზდანოვიჩს კრედიტი და ბანკი არ სურდა. მეორე, იმ დროს ბანკებმა გაუხსნეს კრედიტი სხვილ მრეწველთ, ბ-ნ ზდანოვიჩის მოკეთეებმა და მეგობრებმა იშოვეს ყველგან იაფი სესხი, მათ აღარ ეჭირვებოდათ ფული; **წვრილ მრეწველთ-კი არც ბაქნები ქონდათ და არც კრედიტი, მაგრამ ამათთვის რა-**

გარ შეიწუხებდა თავს „დიდებული მოდგაწე“! ამათთვის ხომ იაფი სესხი მავნებელიაო, ბრძანა კიდევ **პირველ** სიეზდზედ ბ-ნმა ზდანოვიჩმა და დამარხა ერთიანად ეს კითხვა. მაგრამ მესამე „სიეზდის“ ოპოზიციაში და წვრილ მრეწველთა ინტერესების დამცველად გახდით სხვათა-შორის ჩვენც და წამოვაყენეთ კითხვა **კრედიტის შესახებ** და როცა თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩენგერიმ არ მოგვცა ნება ამაზედ ბჭობისა, იმ მიზეზით პროგრამაში ეგ კითხვა არ სწერიაო, მაშინ ვსთხოვეთ ბ-ნ თავმჯდომარეს მიმართოს დეპეშით მინისტრს და ითხოვოს ნება-რთვა კრედიტზედ ბჭობისა. ამ წინადადებას მიემხრნენ დიდი უმრავლესობა და გაიგზავნა დეპეშა მინისტრთან. (იხ. „Труды III-го съѣзда, გვ. 12—13). მივიღეთ ნება-რთვა მინისტრისაგან და სიეზდის მე-11 სხდომაზედ შეიქვნა ბჭობა ამ კითხვაზედ, ე. ი. კრედიტზედ, მაგრამ არც ზდანოვიჩმა და არც ერთმა მისმა მომხრემ კრინტიც არ დასძრეს ჭიათურაში ბანკის დაარსების სასარგებლოდ. პირ იქით წინააღმდეგიც იყვნენ. მართალია ისიც, რომ ოპოზიცია არ იყო ამ კითხვაში მომზადებული, რადგან არ იყო იგი პროგრამაში და არც ეგონათ, თუ ნება-რთვას მიიღებდნენ მინისტრიდგან, მასთან ელოდენ ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველს, რომელსაც უნდა წარმოედგინა ამ საგანზედ ვრცელი მოხსენება, მაგრამ არ მოვიდა. მასთან კითხვა კრედიტზე მეტად რთული რამ არის. რა სახის

ბანკი უნდა დაარსებულიყო ჭიათურაში? საურთიერთო, საწარმოვო, საიპოტეკო თუ სხვა რაიმე ხასიათის? ეს საგანი იყო მეტად რთული. ამას ეჭირვებოდა ადგილობრივ ვითარებათა შესწავლა, დინჯი მოსაზრება და საფუძვლიანი შემუშავება; და სწორეთ ამიტომ იყო, რომ ავდექით და წარმოვსთქვით: **რადგან ეს კითხვა რთული და მნიშვნელოვანია, ამიტომ უმჯობესი იქნება აირჩეს კომისია და მიენდოს იმასაო**". და როცა თ. ი. ნიჟარაძემ ბრძანა, რომ კომისიის ნაცვლად ამ კითხვის შემუშავება მიენდოს საბჭოსო, ბ-ნმა ზდანოვიჩმა მაშინვე გააქნია ხელ-ფეხი და განაცხადა ცივი უარი. მიზეზად მოიყვანა თავისებური სოფისტიკა, და მოისურვა, რომ ისევ კომისია იყოს არჩეულიო. ამ რიგად იგი მიემხრო სულ სხვა მოსაზრებით ჩვენს აზრს, მაგრამ წვრილ მრეწველთ უწუხდათ გული, სურდათ მალე ბანკი, იაფი სესხი, კომისია-კი აგრძელებდა კითხვას. სწორეთ მათი საამო აზრი წარმოსთქვა იმ დროს ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარემ თ-დმა პ. თუმანიშვილმა. მან უმჯობესად სცნო, რომ ჭიათურაშიაც იმგვარი ბანკი დაარსებულიყო, როგორც ქუთ. საურთიერთო კრედიტია. ეს აზრი მალამოსავით მოხვდა წვრილ მრეწველთ და ხმის უმეტესობით გაიყვანა იგი. ამ რიგად კითხვა ადვილად წყდებოდა მათთვის. **ამ რიგად დაარსდა ჭიათურის ბანკი, აი მისი ისტორია!** (იხ. Труды III-го съѣзда გვ. 117—123).

დიახ, ამის შემდეგ განა საბუთი აქვს აბაშიძეს სთქვას, რომ ბანკის დაარსება ზდანოვიჩის ინიციატივაო და ქვარიანს კრინტიც არ დაუძრავს მესამე „სიეზდზედო“?! აი ამ მზა-მზარეულ ბანკს დაასკუპდა თავზედ სხვა-და-სხვა საშუალებით ბ. კ. აბაშიძე, გალაღებულა ახლა, დიდ ვინმეთ წარმოუდგენია თავი და სხვებს ჭიანჭველის ოდენათაც ველარ მზერს. დღეს ასეა, **დღეს სხვასა კაკალი მუნჯობს, დღეს მაგისთანა კაცების ბაშბა ჩხრაალებს**, მაგრამ ვინ იცის თუ რას ეტყვის მათ ხვალე. კიდევ დიდმა შოთამ ბრძანა:

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.“

VIII.

ბევრს უმანკო თვისებასთან ბ-ნ აბაშიძეს აქვს კიდევ ერთი საუნჯე. უშვერი ლანძღვა-გინების გარდა ეს „ქებული პუბლიცისტი“ სცდილობს მოკამათე დაამარცხოს კიდევ ერთი ხერხით: იგი მშრალად და ლიტონად დაგიწყებს ყვირილს: „შენ არაფერი ცოდნა გაქვს, შენ არაფერი იცი“ და სხვ. ამგვარი უნარი უნებლიედ მაგონებს დაბალი კლასის უნიჭო შეგირდის საქციელს, როცა მას ელევა საპასუხო მასალა და გაცხარებული ბოლოს უყვირის ამხანაგს: შენ არაფერი იცი, შენ არაფერი გესმისო და სხვა! აი კიტას პაექრობის და ენა-მზეობის ნი-

მუში: „ქვარიანს ევროპიდგან ვერაფერი გამოუტანია, (ნეტა როდის დაგვაჭერია ეგზამენი!), ქვარიანისთვის რაიმე ცოდნა და გამოცდილება მეტი ბარგია“ (?) და სხ. თუ ამგვარი რამის მშრალად თქმა დიდ სიბრძნეს წარმოადგენს, მაშინ ყველა უვიცი და ყველა რეგვენი ფილოსოფოსი ყოფილა! მკითხველო, დავაჯეროთ „დიდი პებლიცისტი“, რომ ამისთანა სიტყვების თქმა შეუძლია ყოველს უმეცარს. პირიქით შეგნებული და ღირსეული კაცი არას დროს არ იტყვის მაგისთანა სამარცხვინო რამეს. ამიტომ ჩვენ გვიკვირს ბ-ნ აბაშიძის პირიდგან ამგვარი სიტყვები. აქ უნებურად გვაგონდება აკაკის ლექსი:

„ერთი რამე შემინიშნავს,
მაგრამ ჩუმად გეტყვით ყურში:
ჩვენში თურმე ბევრი არის
კაჭკაჭი და თუთიყუში“.

მართალია ჩვენი საყვარელი სულმნათი. ჩვენში ბევრია კაჭკაჭი და თუთიყუში, მაგრამ, თურმე, კიდევ მეტია **უგიცი, მქირდავი** და **ცილის-მწამებელი „პუბლიცისტები“**, რომელთა ჯგუფში არ გვსურს, ვითომ გავურიოთ კიტა აბაშიძე, მაგრამ...

ბ-ნი აბაშიძე ისე გაიტაცა თავის „ღვთიურმა აღმაფრენამ“, რომ ქვარიანის მუზას და პოეზიასაკი გადაწვდა; ხან უწოდა მას „უბადრუკი მობაიროონე პოეტი“, ხან მუზის აშიყი, ხან ბრძანა, ქვარიანს „აღორეებს თავის მუზაო“ და სხ. ნეტა

რა დაუშავა ქვარიანის მუზამ აბაშიძეს, ან რა კავშირი აქვს ამ მუზას შავ-ქვასთან, ვერ გაგვიგია! ხოლო ეს-კია, რომ ლემეტრის და ბრიუნეტერის თაყვანის მცემელს, მათ „შნოიანად“ მბაძველს, მისტიკ-კრიტიკოსს ასე ადვილად არაფერი მოეწონება. თვით ავტორს არ შეფერის-რამე თქვას თავის ლექსებზედ, ამის განსჯა ეკუთვნის მკითხველს საზოგადოებას. ხოლო, თუ რამდენად ლამაზია ჩვენი მოკამათის ამგვარი საქციელი, ან რამდენად ეხამება ესა და ლანძღვა-ფრეგა სალიტერატურო ეთიკას, ეს თქვენვე საჯეთ, მკითხველო. სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ ბევრს გონია, თუ

„ვინცა ენა მჭარტალია,
მისი სიტყვა მართალია“.

აბაშიძე გაყვა კიდევ ბევრს წვრილმან რამეებს. არაფერი არ დავიწყებია და კიდევ მეტი შეუთხზავს და გადუსხვაფერებია თავისებურად ამ ენა-წყლიან „პუბლიცისტს“, გადაუმახინჯებია ჩვენი სიტყვები და სხვა-და-სხვა. ყველა წვრილმანებს რომ გამოუდგეთ აქ, ფრიად შორს წაგვიყვანს. ისედაც ვწუხვართ, რომ მეტად დავლალეთ მკითხველი. ამ წვრილმანებში პირველობა კაი ხანია დავუთმეთ ბ-ნ აბაშიძეს და არც გვსურს შეეეცილოთ ოდესმე. ხოლო, რა ვქნა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ პებლიცისტის საქციელი უნებლიეთ გვაგონებს საფრანგეთის დიდი პოეტის ვიქტორ ჰიუგოს სიტყვას: „Petit homme, petit esprtit petit coeur,

petite affaire“, (პატარა კაცი, პატარა ჭკუა, პატარა გული, პატარა საქმე). ბოდიშს ვიხდი კაცხის პუბლიცისტთან, თუ მაინცა-და-მაინც არ იამოს ეს პოეტის სიტყვები.

ჩვენ გავათავეთ... უჰ, მადლობა ღმერთს, იტყვის დაღალული მკითხველი. თუმცა ანდაზა გვამხელს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მაგრამ ეს იმგვარი საგანი იყო, რომ ამაზედ უფრო მოკლედ არ ითქმოდა, თუმც ბევრი ვეცადეთ. მაგრამ მომითმინეთ! ვითომ გავათავეთ-კი?! არა, დაგვრჩა კიდევ ორიოდ რამ საპასუხო, მაგრამ ყველაზედ უფრო სამნიშვნელო. ამიტომ, მორჩილად ვსთხოვთ მკითხველს, გვაჩუქოს კიდევ მცირეოდენი სმენა.

„სოციუზმა“ ნახა ბერლინში რამდენიმე კაპიტალისტიო, სოციუზის წევრებმა მოიწვიეს შარშან მაისში რამდენიმე კაციო, ზდანოვიჩი შეიქნა საქმის ნამდვილი სულის ჩამდგმელიო, ზდანოვიჩი თაოსანი, გამოცდილი და ენერგული კაციაო. სიმონ ქვარიანი უცაბედათ გამოერია ამ საქმეშიო, ქვარიანი აეკვიატა ზდანოვიჩსო; პა, პა, პა, სად არიან ჯგუფები „ნაჩალო“, „შრომა“ და „შუქრუთიო“ და ს.ხ., ბრძანებს რიხით და დაცინვით ბ-ნი აბაშიძე. ერთის სიტყვით, სოციუზსა და ზდანოვიჩს მიაკუთნა ყველაფერი, ქვარიანსა და კერძოთ დ. ბაქრაძეს არაფერი. განვიხილოთ, თუ რამდენად მართალია ეს აბაშიძის სიტყვები. დავიწყოთ ჯგუფიდგან. კვლავ იძულებული გავხდით ვსთქვათ ცოტა

რამ ჩვენზედ. კიდევ მესამე სიეზდის დროს განვაგებდი დ. ნ. ბაქრაძის შავი-ქვის საქმეებს. კრების გათავების ერთი-ორი თვის შემდეგ, ჩვენი ნებით დავუბრუნეთ ბ-ნ ბაქრაძეს ვექილობა, მოვიხადეთ მასთან ბოდიში, რომ თქვენს საქმეებს ველარ ვაწარმოვებ და **უჯამაგირად შეგუდექით ჭიათურაში წვრილ მრეწველთათვის მუშობას.** ბ-ნი ბაქრაძე არ იყო კმაყოფილი, რომ მიატოვეს მისი საქმეები, ჩვენ შევიმუშავეთ ჯგუფის საამხანაგო წესდება და ნოემბერ-დეკემბერში დავაარსეთ 12—13 წვრილ მრეწველთაგან სამი ჯგუფი სრული ამხანაგურის წესით. ამ ჯგუფების სახელია: **„დასაწყისი“** („ნაჩალო“) **„შრომა“** და **„შუქრუთა“**. სამივე ჯგუფმა მეთაურად გაგვიხადეს და ვექილობაც მოგვცეს. მათი ვექილობანი, (გარდა ერთისა, რომელიც დავუბრუნე), ყველა მათი ნოტარიალური და დასტამმული პირობანი დღესაც ხელში გვაქვს. დასამტკიცებლად ყველა ამ საბუთებს ვარდგენთ „ივერიის“ რედაქციაში *). ჩვენი მიზანი იყო შეგვეერთებინა პაწია ჯგუფებათ ყველა წვრილი მრეწველი, შეგვექმნა შემდეგ მათგან ერთი დიდი კავშირი, ამავე დროს მოგვეპოვა მათთვის ბაქნები, იაფი სესხი და უცხოეთის ბაზარი და ამ რიგად გამოგვეგლიჯა ისინი ჩარჩ-ექსპორტიორთა მწვავე კლანჭებიდგან. მაგრამ ამ დიდი მიზნის განხორციელება ასე მალე

*) ეგ საბუთები რედაქციაში იყო წარმოდგენილი.

და ასე ადვილად არ შეიძლებოდა. ამიტომ განვიძრახეთ შეგვეფარგლა ჯერ ეს მოქმედება, მოგვეპოვა ჯერ ამ სამი ჯგუფისთვის იაფი სესხი და გაგვეყიდა მათი ქვა; და ასე მოვიქეცით. ფრიად ვსწუხვართ, რომ გარემოება გვაიძულებს ვსთქვათ ყველაფერი. დიაღ, ზემო თქმულ მიზნების მისაღწევად გავმართეთ დეპეშა-წერილებით მიწერ-მოწერა ევროპა-რუსეთის ფირმებთან, პირადათ ვნახეთ ბათუმ-ტფილისში ცნობილ ბანკების მეთაურები, რომელთაც აღგვითქვეს სესხი. დავაინტერესეთ ამ საქმეში რამდენიმე სერიოზული საკომისიონერო კანტორები და კერძი პირები; დავრბოდით ჩვენის ხარჯით ჭიათურა-ბათუმ-თფილისში და ბაქოშიაც-კი **) და თუმც იმ დროს დაიწყო შავი-ქვის მსოფლიო კრიზისი, მიუხედავად ამისა, იმდენი ვეცადეთ, რომ **დაგვეყიდეთ ამ სამ ჯგუფს 12 მილიონი ფუთი ქვა სამი წლის განმავლობაში, ფუთი ფოთში გემში ჩაბარებით 23½ კაპეიკად.** ქვა იყიდა ინგლისის ერთმა დიდმა ფირმამ. მოლაპარაკება და საწინაო პირობის განსაზღვრა მოხდა შარშან თებერვალში

**) ჯგუფებიდგან-კი სახარჯოთ ერთმა მომცა 20 მ. და მეორემ 40 მ., მესამეს-კი კაპეიკიც არ მოუცია. ან რა უნდა მოეცათ, როცა კრიზისი დაეწყოთ და გაჭირვებაში ჩავარდნენ! ამ რიგად ვსესხულობდი ფულს ჩემს სახელზედ და ვხარჯავდი ჩემის რისკით. მე მათთვის არაფერი გადამიხდევინებია, სუყველა ვალები მე გადვიხადე ჩემის ჯიბიდან.

ავტ.

კომერციულ მოსაზრებით ბაქოში. დასამტკიცებლათ ყველა საბუთებს ვარდგენ ივერიის რედაქციაში ***) და მორჩილად, ვთხოვ, რომ იყოს საიდუმლოდ დაცული ფირმების ვინაობა. მაგრამ ჭირი მართალთაო რომ იტყვიან, ჩვენც ისე დაგვემართა. იმ დროს, როცა პირობა უნდა შეგვეკრა საბოლოოდ, ინგლისში მოხდა საშინელი ამბავი: გამწვავდა ბურთა ომი და მასთან შეიქნა რკინა-ფოლადის ქარხნების მუშათა აჯანყება. დაიკეტა 6 თუ 8 თვით ყველა ფოლადის ქარხნები, (ეს ყველამ ვიცით გაზეთებით). ვიღას უნდოდა მარგანეცი! დაეცა საშინლად შავი-ქვის ფასები. ამ დროს „სოიუზი“ და მათ შორის მისი წევრი ბ. დ. ბაქრაძე იყვნენ ბერლინში და ყიდდნენ თავიანთ ქვას ცნობილ ფირმაზედ აროონ ჰირშზედ, რომელიც გაიცნეს სტუდენტ ბარნაბა პაპავას და კომისიონერ პავლე როზენბერგის საშუალებით.

სწორედ ამ დროს ჩვენდა მოულოდნელად მოგვდის ბერლინიდგან ბ. დავით ბაქრაძის დეპეშა და შემდეგ წერილი.

როგორც კიდევ შარშან ვსწერდით „ივერიაში“ (იხ. № 186) და ახლა როგორც მოწმობენ ეს დეპეშა და წერილი, ეს დიდი საქმე დაუწყია კიდევ ბერლინში ბ-ნ ზდანოვიჩსა და სოიუზს-კი არა, არაარამედ კერძოდ **დავით ბაქრაძეს**. ამ მოღვაწის მი-

***) ეგ საბუთებიც წარმოდგენილი იყო რედაქციაში.
რედ.

ზანი ყოფილა წვრილ მრეწველების შეერთება და მათთან საქმის დაკავება, ამ მრეწველთა შეყვანა ბერლინის სინდიკატთან და მით მათი ხსნა ექსპორტიორთა კლანჭებიდგან. ამ მიზნით შეეკვრა ბ-ნი ბაქრაძე და მხოლოდ ბაქრაძე საწინაო პირობით არონ ჰირშსა და როზენბერგს და სხ.. მაგრამ ამ დიდი მიზნის განხორციელება ადვილი არ იყო. ამას ეჭირვებოდა **შრომა** და **ბევრი შრომა**. ამას უნდოდა სანდო კაცები. ამგვარ პირად-კი დასახა ბ-ნმა ბაქრაძემ ამ სტრიქონების დამწერი. მან მისწერა დეპეშა-წერილი და მიენდო ერთიანად სიმონ ქვარიანს, რომელმაც მიუტოვა წინეთ საქმეები, რომელზედაც თითონ ბაქრაძე იყო მონდურავი ამის გამო, მაგრამ, რომელიც ბაქრაძის ფიქრით გააკეთებდა ამ საქმეს, რადგან ქონდა მოპოვებული მრეწველთა შორის ნდობა და სიყვარული. იძულებული ვართ ვსთქვათ ყოველივე სიმართლე. სინდისი და კაცობრივი ეთიკა არ გვაძლევენ ნებას გავაცნოთ ქვეყანას კერძო პირის დეპეშა-წერილის სრული შინაარსი და საიდუმლოებანი.

ამ საბუთებს ვარდგენ „ივერიის“ რედაქციაში *).

---

*) ეს საბუთები იყო წარმოდგენილი რედაქციაში.
რედ.

IX.

როგორც-კი ჩამოვიდა ქუთაისში დ. ბაქრაძე, ვგონებ მარტის დამლევს, მაშინვე მოგვმართა ჩვენ, გვაცნო საქმის ვითარება, წაგვიკითხა საწინაო პირობა და გაგვზავნა ჭიათურაში ნიადაგის მოსამზადებლად. ჩვენც იმ დღიდგან ერთგულად შევუდექით **ამ დიდი საქმის ოგანიზაციას** და ჯერ ხანად **ნიადაგის მომზადებას**. აი ამ საერთო ამხანაგობაში, (შავი-ქვის საზოგადოებაში), შევიყვანეთ ჩვენი **ჯგუფები**, რომლებზედაც კიტა ბრძანებს, რა იქნენო!

ბევრი სირბილი დაგვჭირდა ჭიათურა-ჭიქოურაში და მადნებშიაც-კი, დასჭირდა ბევრი ახსნა, ჩიჩინი, წვალება და დავიდარაბა, სანამ ჩავუნერგავდით ორას მრეწველს გულსა და გონებაში ამ დიდი საქმის მნიშვნელობას და სიყვარულს. ეს იცის მთელმა ჭიათურამ, ეს კარგად იცის ბ-ნ დავით ბაქრაძემ, სოიუზის წევრებმა და თვით ბ-ნ ზდანოვიჩმა; ეს არ იცის მხოლოდ, ან უკეთ სურს, რომ არ იცოდეს კიტა აბაშიძეს, რომლის გულშიაც, გავს, ამომშრალა მართლ-მოყვარობის ცხოველი წყარო, (თუ-კი იყო ოდესმე); სამწუხაროდ ამაში დავრწმუნდით ამ პირის ჩვენდამი საპოლემიკო წერილის წაკითხვით.—„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო, ბრძანებს შოთა, მაგრამ ესმის-კი ყველას ეს დიდი მცნება?!

რა რიგად შემოვიდნენ ამ საქმეში „სოიუზი“ და ბ-ნი ზდანოვიჩი; რა ითქვა ამის შესახებ ჩვენ და ბ-ნ დ. ბაქრაძის შორის, ეს ჯერ საიდუმლოა. ბ-ნი ბაქრაძე ამ ჟამად არ ბრძანდება აქ და უმისოდ-კი ვერ გავამხელთ მას. რა პოლიტიკა დაატრიალეს თავიდგანვე ამ საქმეში სოიუზმა და ზდანოვიჩმა, **ეს დიდი ისტორიაა** და ამის თქმა შორს წაგვიყვანს; ყოველივე ეს ერთს დროს გამოირკვევა და მკითხველის თვალწინ გარდიშლება **მოელი სურათი ზოგიერთ „ძალვაწეთა“ მოქმედებისა.** ჯერ-კი გავჩუმდეთ დროებით. აირჩა საორგანიზაციო კომისია; დაიწყო საქმე და მოქმედება. რა ითქვა კრებებზედ, ეს ჩანს ოქმებში, ყველაფერს აქ ვერ მოვიყვანთ. ვინ რა აკეთა ჭიათურაში, ვინ მოიწვია და ვისი რწმენით და შეგნებით შემოვიდნენ ამ საქმეში 184 კაცი, ეს ეკითხოს მთელს ჭიარურას და ბ-ნ ბაქრაძეს. რა რიგად შეავიწროვეს კომისიაში ქვარიანი, რამდენი რამე დამალეს მისგან, ან რაგვარი უსიამოვნება მიაყენეს, ეს იცის კომისიის წევრწებმა და ზოგმა ვექილებმა. რამდენი დაუთმო მათ ქვარიანმა საქმის სიყვარულის გამო, ეს იციან კიდევ იმათვე. იძულებული ვართ ვსთქვათ, რომ სოიუზის და ზდანოვიჩის შემოსვლამ ამ საქმეში, ბევრი დააფრთხო და ბევრმა შეხედა ამ საქმეს ძლიერ ეჭვის თვალით. ბევრი ამის მიზეზით არ შემოვიდა ამ საქმეში, თუმც ვუწმენდავდით მათ ნამუსს და მეტად ვსცდილობდით აღგვედგინა მათი

ეგრე დაცემული პრესტიჟი. ჯერ კიდევ ამ 3—4 დღის წინად ერთმა ცნობილმა მრეწველმა მითხრა ერთი პირის თანადასწრებით: „მე ჩემი ამხანაგებით და კიდევ ბევრი სხვა შემოვიდოდით მაგ საქმეში, მაგრამ სოციუზის და ზდანოვიჩის იქ ყოფნამ დაგვაფრთხოო, რადგან მაგათ წინეთ ერთი დიდი ამხანაგობა დალუპესო“. აი მისი სიტყვები! იმედია ამ სიტყვებს არ გადაფიცავს ის პირი, თუ საჭირო შეიქნა.

ერია თუ არა თავდაპიველად ბერლინშივე ამ საქმეში „სოიუზი“? რა როლი ითამაშეს ამ საქმეში სოიუზმა გარდა ბაქრაძისა და თვით ბ-ნ ზდანოვიჩმა? ოჰ, ამ საგანზედ ბევრი გვაქვს სათქმელი! ბევრის არა სასიამოვნო რამეების თქმა შეიძლება ამ ვაჟბატონებზედ, მაგრამ არ გვინდა წავბაძოთ მათ და ნაცვალი გარდავუხადოთ. მასთან არა ვართ ჯერ დარწმუნებულნი: მოუხდება, თუ აწყენს ამ საერთო საქმეს, ე. ი. შავი-ქვის საზოგადოებას ახლავე ყველაფრის თქმა, ყველაფრის გამჟღავნება. თუმც დამრეც გზაზედ დაგორებულა ეს საზოგადოება, მაგრამ ჯერ კიდევ სულ არა გვაქვს იმედი გადაწყვეტილი. რად გაგრძელდა 9—10 თვემდე ამ საქმის ორგანიზაცია და კონტრაქტის შეკვრა, რომელიც შეიძლებოდა გათავებულიყო 3—4 თვეში? რათ არ შეეკვრენ პიროობით აროონ ჰირშის დიდათ ცნობილ ფირმას და მის სინდიკატს? რად დაიკავეს საქმე ხამ გამოუცდელ პირებთან, რომელსაც ეწოდება მანგან-სინდიკატი? რად მიაღებიეს ამ სინ-

დიკატს ძალის-ძალად სოიუზის მიერ ჰირშზედ გაყიდული $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა 23 კაპეიკში? რად გადასცა ბ. ზდანოვიჩმა მანგან-სინდიკატს თითქმის ერთი მილიონი მანეთის მრეწველთა ვექსილები, როცა ამის უფლება არა ქონდა მას კომისიის ინსტრუქციის ძალით? რად გააჩერეს ერთ თვეს ქუთაისში და დაქანცეს მრეწველები? რად შეცვალეს წესდების პროექტი და ვექილობა? რად გადააცემინეს მრეწველთ საზოგადოების სახელზედ ყველა მადნები და რად ყიდულობენ ახლებს ამავე საზოგადოების სახელზედ,—ვალი-კი ეწერებათ თვით მრეწველთ? რად ურიგებენ მათ ფულებს და ფლავენ ვალებში? რად გააჩინეს საერთო საწყობი, გამოიწვიეს ქვის ზიდვა გარეშედ და მით მრეწველთა დაჯარიმება? რათ არ სურთ მოახდინონ საზოგადოკრება, გააცნონ საქმე ხალხს და აირჩიონ გამგეობა? რად ჩაიგდეს ხელში საქმეები და ყოველივეს გადააფარეს საიდუმლოების ზეწარი? რად გაუშვეს ქვის გაყიდვის შვენიერი მომენტები? რად აჩერებენ მუშაობას, ან უკლებენ მაზარდას იმ დროს, როცა „სოიუზს“ გემები ეტვირთება ფოთში და მიღება აქვს გაცხარებული? ნეტა რაა ყოველივე ამის მიზეზი? ოჰ, ეს კარგად იცის „სოიუზმა“, ეს კარგად იცის ბ. ზდანოვიჩმა და მისმა დამქაშებმა! ეს უნდა იცოდეს თვით კიტა აბაშიძემ!.. და ყოველივე ეს უნდა გამჟღავნდეს ერთ დროს... ამ ვაჟბატონებს სურთ შიშით, მუქარით, ხმლით, ხანჯლით, გაზეთ-

ში გინებით, ჭორების გავრცელებით და ცილის წამებით, დაახშონ, დაამუნჯონ, მოსპონ მართლის მთქმელნი, მაგრამ ვერა...

„A bas Panama, à bas la calotte! Un peu de lumière, citoyens! (ძირს პანამა! ცოტაოდენი სინათლე, ძმებო!“ მაგონდება დიდი ორატორის ჟორესის სიტყვა, წარმოთქმული პარიზის პარლამენტში. დიაღ, პანამის არხის საქმე დიდებული იყო და განათლებულ პირთა ხელში. იმ საქმეში ერია ყოვლად პატიოსანი და სათაყვანო მოხუცი ფერდინანდ ლესეპსი, მაგრამ იქვე იყვნენ სხვისი მილიონების მჭამელნი შარლ ლესეპსი, რეინახი და ეიფელი...

ჯვარი ეწეროს აქაურობას! პანამა ჩვენგან შორსაა, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა. ყოველ საზოგადო საქმეს ეჭივრება კრიტიკა და კანტროლი, რა გინდ იდეალურ პირთა ხელში იყოს იგი; და თუ მეთაურები ეწინააღმდეგებიან კრიტიკას, სურთ ყოველივე მოიცონ საიდუმლოების ნაბადში კომერციის სახელით, ჩანს საქმე ლენჭეოთაა. აი სწორედ, მაშინ უნდა სიფხიზლე და გამბედაობა! ნუ გწყინთ, ბატონებო, ეს ჩვენი სამართლიანი სიტყვები! და თუ ვერ ოითმინეთ, ძლიერ იწყინეთ, გაცხარდით, გირჩევთ დაიმშვიდოთ გული ლაღიძის ცივი ვეჟინით და ცივზედ უცივესი ყინულით.

„Amicus Plato, sed magisque amica veritas.“ (მეგობარია პლატონ ფილოსოფოსი, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეგობარია). დიაღ, რაც

უნდა ახლო პირნი და მეგობრები იყვნენ ის ვაჟ-ბატონები, ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა ყოველივე შესწიროს სიმართლეს და ჭეშმარიტებას, ცუდი დაგმოს და გაკიცხოს სახალხოდ. ნუ-თუ ეგრე დიდი დანაშაულია კაცისთვის სიმართლის და ჭეშმარიტების სიყვარული და ხმის ამოღება იმ დროს, როცა ხედავ, რომ ძირი ეთხრება დიდ საქმეს და **იდუპება თითქმის ორასი მრეწველი**?! ნუთუ აქ არაფერი ეთქმება ს. ქვარიანს რომელიც ერია ამ საქმეში, რომელსაც დაუღვრია ოფლი, უნახავს სიმწარე და რომელიც გამხდარა ამ ორასი კაცის შეერთების მიზეზად და მათ წინაშე ზნეობრივ პასუხის მგებლად?! ნუ-თუ უნდა გავჩუმდეთ, არ ამოვიღოთ ხმა, არ ვაუწყოთ ქვეყანას არაფერი?!... აქ ხმის ამოღება და სიმართლის თქმა-კი არაა ღალატი, ჯრამედ **საქმის ნამდვილი დაღატია გაჩუმება, დამუნჯება** და **ეგვლაფრის საიდუმლოებით მოცვა ამ დროს როცა საქმე იდუპება**... ნუ სწყინს ბ-ნ ზდანოვიჩს, როცა ვამხელთ, რომ მისი ერდგული ვეზირები კარგ ბოლომდე არ მიიყვანენ მას. **ამ საერთო საქმეს ცუდი სუნი ადინდა**! აქ ფოფინობს და შატონობს ერთი თუ ორი ჯგუფი, დანარჩენი-კი ლამის მსხვერპლად შეეწიროს. ამიტომ დროა მიექცეს ჯეროვანი ყურადგება ამ არა სასურველ მოვლენას... *)

*) კიტა აბაშიძის საპოლემიკო წერილს მეტად გაუხარებია „ცნობის ფურცელის“ რედაქცია; იგი ქცეულა ღალადათ და № 1890—ში, როგორ რამ დიდი მსოფლიო მოვ-

X.

„საბრალოა მხოლოდ ჩვენი დაბეჩავებული და დაავადმყოფებული საზოგადოება: ამ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ასე დაუსჯელად, ასე რიხიანად და გაბედვით გამოვიდეს ვინმე, თუ გინდ ბ-ნის სიმონ ქვარიანის პოეტურის „ნიჭით“ იყოს შემკული და ასე „უპრაგონოთ“ მოსცხოს ჩირქი საქმის რიგიან მუშაკებს(?), ხოლო თავისავე უშინაარსო (?) ლაპარაკით საქმეს ზარალი მისცეს“. ამ მხურვალე ფილიპიკით ათავებს კაცხის დემოსთენი თავის წერილს. „Ergo censeo Kvariani dillendum esse“! აი, ამგვარი აზრით ათავებს თავის პოლემიკას ეს ჭიათურის კატონი.

მკითხველმა უკვე სცნო, ვინც ბრძანდება კ. აბაშიძე. ჩვენ ნათლად ვსცანით ამ პირის ზნეობრი-

---

ლენა აღნიშნა „დიდი პუბლიცისტის“ წერილები და მოიყვანა ციტა(ტ)ები; მასთან წაუმძღვარა შემდეგი საგულისხმო პროლოგი: „თავ. კიტა აბაშიძემ სავსებით გამოამჟღავნა ბ. ქვარიანის წერილის უკუღმართობა (?) და უტყუარის ფაქტებით (?) დაამტკიცა (?) მისი ცილის წამებით მიდრეკილება (?). სამწუხაროა მხოლოდ, რომ სვიმონ ქვარიანის ბრალდებათაც გამტყუნება საჭიროა და ასეთი გრძელი გამტყუნება (?) და სხ.“ ამ ჩვენი პასუხის შემდეგ ნეტა როგორ ამღერდება დარბაისელი რედაქცია; ან ექნება მას იმდენი მოქალაქებრივი გამბედაობა და მართლმოყვარეობა, რომ სცნოს თავი დამნაშავედ, მოიხადოს ბოდიში და ჩვენი პასუხიდან გააცნოს ცოტა რამ თავის მკითხველს?! არა ვგონებ. ერთ კაცს კი-

ვი ფიზიონომია. მან თავის გრძელ წერილებში ვერც ერთი მართლად დასაბუთებული და ჩვენი გასამტყუნარი ფაქტი ვერ მოიყვანა და თუმც დაგვისახელა ორ-სამ ალაგს კომისიის ოქმი და საზოგადოების წესდების მუხლები, მაგრამ მით **თითონვე გამტყუნდა**; ტყვია მსროლელს მოხვდა გულში. დანარჩენი ნაწილი მისი წერილებისა არის უშვერი ლანძღვა-გინება, ცილის წამება, სნეული მედიდურობა და ფაქტის დამახინჯება. აი პოლემიკას შვენიერი თაიგული! აქ მაკვირვებს კიდევ ერთი რამ: ნეტა რას ერჩოდა ეს უკურნელი პესიმისტი, რომ

დევ მოეტოვება შეცდომა, მაგრამ მთელს რედაქციას, ორგანოს მეთაურს, ხალხის აღმზრდელს-კი არასდროს! ჭეშმარიტად ფრიად სავალალოა ამ გვარი მოვლენა, როცა პარტიობა და მეგობრობა უბრმავებს გონების თვალს გაზეთის მეთაურთაც-კი, ავიწყებინებს სიმართლეს და ჭეშმარიტებას, უკარგავს სიდინჯეს, სიდარბაისლეს და აბეჭდინებს ამ გვარ ყოვლად უმართლო ფრაზებს. ჭეშმარიტად სამარცხვინოა რომელიმე გაზეთის მხრივ ასეთი ამჩატება. მაგრამ მთელს რედაქციას, ვგონებ, ვერ დავდებთ სრულად ამ ბრალს. მკითხველი ხვდება, რომ აქ რედაქციის სახელით იფარება ერთი ვაჟბატონი, ნათესავი და ახლო მეგობარი ბ-ნი ზდანოვიჩისა. უბედურებაც ესაა, სადაც გაიხედავ ყველგან მეგობრები და ნათესავები ყავს ჩაყენებული ამ ზდანოვიჩს, ასე რომ სიტყვის თქმაც ვერ მოგიხერხებია კაცს! დიახ, ეს მეგობარი გახლავს აქაც, რომ უკმევს კიტას და ზდანვიჩს. ბავშვმა კარგად იცის რათ ეალერსება და რათ კოცნის ბებიას წირპლიან თვალ'ძს.

ავტორი.

არ იკმარა მარტო ნიშანში ამოღებული ქვარიანი და გალანძღა მთელი ჩვენი მკითხველი, მომქმედი და შეგნებული საზოგადოება, რომელსაც უწოდა „დაბეჩავებული და დაავადმყოფებული“?! სწორედ არ გვეგონა, თუ ადამიანის კადნიერება ავიდოდა ამ სიმაღლემდე! მაგრამ ნუ გიკვირს, მკითხველო! ბრძენთაგან თქმულა, რომ ყოველი კაცი თავის საზომით ზომავს სხვებსაც.

ამ პასუხში-კი ვეცადეთ საქმის ახსნით და ნამდვილი საბუთებით დაგვეღლვია თავიდგან ბოლომდე ჩვენი მოკამათის სოფისტიკის ქსოვილი და გაგვექრო ბავშების მოსატყუარი საპნის ბუშტები. მივაღწიეთ თუ არა მიზანს, ეს მკითხველის საქმეა *)

ჩვენი პირველი წერილი ერთიანად (იხ. „ივერია“ № 141) და აქაც ბევრი რამ უმთავრესად მიმართულია ბ-ნ გ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ის ბრძანდება დღეს შავი-ქვის საზოგადოების საქმის სათავეში; ის მართავს ამ 188 კაცის საქმეებს; მას უკავია ხელში ამ ხალხის ბედი. ჩვენ ვხედავთ, რომ საქმეები უკან და უკან მიდიან, ვხედავთ, რომ შავი-ქვის საზოგადოება“ არ დგას კანონიერს ნიადაგზედ;

) ჩვენი პასუხის დასამტკიცებლად შეიძლებოდა მოგვეყვანა კიდევ ბევრად მეტი საბუთები, მაგრამ ბ-ნ ზდანოვიჩმა არ მიგვიშვა საზოგადოების საქმეებთან, რაც კანონიერად ვსთხოვეთ. დასამტკიცებლად ვარდგენ აქ, რედაქციაში ჩემს თხოვნას ზდანოვიჩის უარის ზედ წარწერით.) ავტ.

*) ეს საბუთი ნახა რედაქციამ.

რედ.

ვხედავთ, რომ საზოგადოების საქმე დიდს განსაცდელშია; ვატყობთ, რომ მას ეთხრება ძირი, წიწკინებს და თან-და-თან ინგრევა ეს თავში კარგად დაწყებული საზოგადო საქმე. ჩვენ გვსურს ვუშველოთ, დროზედ ვიღებთ ხმას, მაგრამ ამ დროს დაგვსევიან ყოველ მხრივ ჭილყვავები და თავიანთი ჩხავილით სურთ დაგვამუნჯონ. დიაღ, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ხმის ამოღება. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ბ-ნ ზდანოვიჩთან და მის ვეზირებთან. ჩვენ ვდებთ მათ სამართლიან ბრალს ამ საქმეში. ეს საქმე არაა ერთი და ორი კაცის, ეს ეკუთვნის ნახევარ ჭიათურას, თითქმის **ორას კაცს**; ამ საქმით იმედობს ამოდენა ხალხი; ამით სურთ ჭამონ ლუკმა და არჩინონ ცოლშვილი. ეს საქმე არაა მარტო ვიწრო კომერციული; **ეს საზოგადო საქმეა**, ამიტომ ამაში უნდა ჩაერიოს ყოველი შეგნებული და პატიოსანი კაცი, ჩვენი ჭეშმარიტი ინტელიგენცია და პრესსა. ამიტომ ბ-ნი ზდანოვიჩი ზნეობრივად მოვალეა პასუხი გაგვცეს ან მწერლობით, ან სინდისის (საამხანაგო) სამსჯავროთი. ჩვენ ვსთხოვთ, არა, **ჩვენ ვთხოულობთ, რომ გვაპასუხოს ბ-ნ ზდანოვიჩმა**! რისი ეშინია, თუ იგი მართლაც ჭეშმარიტი მოღვაწეა და დგას სიმართლის ნიადაგზედ?! რისი ეშინია, როცა მას დღეს ფულების წყალობით ყველა მეგობრობს, ყველას ერიდება, და ბევრს ეშინია მისი?! რათ იმალება, როცა შავი-ქვის საზოგადოების წევრები ყველა მის ხელშია?! რად მუნ-

ჯობს, როცა ზოგიერთი რედაქციებიც-კი მას ქა-
რუმობენ და თაყვანებენ?! ჩვენ-კი არ გვაქვს ნი-
თიერი გავლენა, არ გვყავს ძლიერი მეგობრებ-
დაკეტილია ჩვენთვის ზოგიერთი რედაქციის კარ-
ბიც-კი, არ გვაქვს 10—12 ათასი მანეთი ჯამაგი-
რები, ჯილდოები და კიდევ სხვა რამეებიც... ჩვე-
ნი მფარველია მხოლოდ **ჯეშმარიტება**, ჩვენ გვამხნე-
ვებს **სამართლე** და ჩვენი იარაღია მხოლოდ **სიტ-
ყვა** და **კალამი**, რომელიც ასე რიგად სურთ, რომ
წაგვართვან ხელიდან. ამასთან ჩვენ კიდევ იმედი
გვაქვს საზოგადოების და ხალხის შეერთებულ სინ-
დისის და მართლ-მოყვარეობის, მაგათ ერთ რედაქ-
ციასაც-კი მიმართეს მუქარით და საყვედურით, რათ
უბეჭდავთ ქვარიანს წერილსაო. ეს ვაჟბატონები არც
ამ „ლამაზს“ საშუალებას დაერიდნენ, მაგრამ მწამს,
რომ ამით ფონს ვერ გავლენ! **გაზეთი მოგვალვა მოგვ-
ცეს გზა! რედაქცია მოგვალვა გვათქმევინოს სამარ-
თლე!** გაზეთი უნდა იცავდეს საზოგადო ინტერესს
და უნდა მფარველობდეს ბეჩავ ხალხს, მრეწველთ,
რომელთაც არა აქვს ენა და მათ ნაცვლად იღებენ
ხმას აგერ სხვა პირები და სურთ ზოგიერთს „მუშა-
კებს“ და „თავ-დადებულ მოღვაწეებს“, არ დააჩაგვრი-
ნონ ისინი. დიახ. გაზეთმა უნდა გვათქმევინოს ყვე-
ლაფერი, რაც-კი შეეხება საზოგადო საქმეს. „შავი
ქვის საზოგადოების“ საქმეც საზოგადო საქმეა...*)

*)საშინელია კიდევ ის ფაქტი, რომ ბევრს უნდათ ამ
საქმეზედ ხმის ამოღება, მაგრამ ვერ ბედავენ ბ-ნ ზდანოვიჩის

ნეტა რად გვისევს ბ-ნი ზდანოვიჩი რგანელს, ეიტას და „ცნობის ფურცლის“ კოშკში მიმალულ ამურებსა და ქამელეონებს, რომელთაც არ ესმით „ქმე, აბახინჯებენ ფაქტებს, ილანძღებიან ურცხვად და რომერთადმი ზიზღი მისულა სიბრალულის საზღვრამდე! ნეტა რათ ათამაშებს ამ თავის მეგობრებს ასე სამარცხვინო როლს?! იქნებ მართლაც არ იმცირებს თავს ეს „დიდებული მოღვაწე“, ეს ქუთაისის ცეზარი; არ კადრულობს ქვარიანთან ბაასს და სამჯავროში გამოსვლას?! მაგრამ ომირის თქმით ელინთა ღმერთებიც კი ებრძოდნენ უბრალო მიწიერთნ.

ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ კეთილინებოს და გვიპასუხოს თითონ ბ-ნმა ზდანოვიჩმა; ეს არის მისი მოვალეობა; ამაში დამეთანხმება მთელი მკითხველი საზოგადოება.

ახლა ორიოდე სიტყვა ბ-ნ კიტა აბაშიძეზედაც. გარდა ფაქტების ძირითურ დამახინჯებისა და უზომო ლანძღვა-თრევისა, რომლებზედაც, ზეით ვსთქვით, ამ პუბლიცისტმა დამდო კიდევ საშინელი ცილის წამება; მან მიწოდა ცრუ, მედანოსე და საზოგადოების ფულის 700 მანეთის შემჭმელი. მასთან უწოდა ჩემს მოქმედებას კალისტრატური ლაქუცი და სხ. ამ უმართლო სიტყვებით მან შელახა ჩემი ადამიანობა, კაცური ღირსება, სახელი, პატიოსნება და

და მისი ვეზირების რიდით და შიშით, რადგან მათი დასახრჩობი თოკი ხელში უკავიათ ამ „თავდადებულ მოღვაწეებს“.

ასოთ-ამწყობი.

საშინელი ჩირქი წაცხო ჩემს წმიდათა-წმიდას, ჩემს სინდისს. მე ვგონებ, როცა ამაებს წერდა, იმ დროს კ. აბაშიძე იყო სრულს ჭკუაზედ და შეგნებაში. მასთან აბაშიძე თავის თავს ეძახის განათლებულს კაცს, ლიტერატორს, მას რუსის დიპლომიც აქვს ხელში და, როგორც იურისტს, კაცის უფლების მცოდნეს, კარგად უმდა სმენოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. თქმულა: კალმით ერთ დაწერილს ათასი შალაშინიც ვერ წაშლისო. დასტამბული სიტყვა ვრცელდება საზოგადოებაში, ხალხში, მთელს ერში და გადადის შთამომავლობაში, ამიტომ აბაშიძის მოქმედება მიმაჩნია **უუსაშინელს დანაშაულად**. როგორც იურისტი და ლიტერატორი, თითონვე უნდა დამეთახმოს ამაში და, თუ აგრეა, მაშ წინდა-წინ ცოდნებია რასაც სწერდა და სჩადიოდა. აქ მოყვანილი აბაშიძის ჩემდამი ბრალდება იმგვარია, რომელზედაც მწერლობითი პასუხი არ მიეცემა, (რასაც პასუხი მიეცემოდა კიდეც ვუპასუხეთ), მე-კი არ უნდა დავამტკიცო, რომ არა ვარ ცრუ, მედანოსე, საზოგადოების ფულის შემჭმელი ან კალისტრატისტი, არამედ ბ. კ. აბაშიძემ უნდა დამიტკიცოს ყოველივე ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს **შესაფერი სასჯელი**. აბაშიძის პასუხის მოსათხოვნად არსებობს სამი საშუალება, მაგრამ მათში მსურს ჯერ **მიგმართო ეგელაზედ უფრო კულტურულს**: ესაა **სინდისის ანუ საამხანაგო სამსჯავრო**. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ

კიტა აბაშიძე, როგორც ინტელიგენტი, დათანხმდება ამ საამხანაგო სამსჯავროში გამოსვლას. ამის შესახებ კიდეც მივუგზავნე მისი საუკეთესო მეგობარი პატივცემული ახალ-გაზრდა იაზონ ბაქრაძე; (ჯერ პასუხი არ მიმიღია). ჩემს მსაჯულებს დავასახელებ ამ მოკლე ხანში და ვსთხოვ შეამზადოს მანაც თავის მხრივ. მსურს, რომ იქნეს მსაჯულებათ არჩეულნი ყოვლად პატიოსანი, განათლებული და შავი-ქვის საზოგადოების გარეშედ მდგარი პირნი. მსურს აგრეთვე, რომ იყვეს გამოცხადებული ყველა ქართულ გაზეთებში მსაჯულთა დადგენილების ვრცელი ოქმი. აქ ბ. აბაშიძეს არაფრის შიში არ უნდა ქონდეს, მით უმეტეს, რომ მას ბევრი გავლენიანი მომხრე და მეგობრები ყავს, მე კი, როგორც მოგახსენეთ, ვარ ერთი ლიტონი კაცი; ჩემკენაა მხოლოდ ერთი სიმართლე. ამ სახით ვათავებ მწერლობით კამათს კიტა აბაშიძესთან საქმის განსჯამდე და დამთავრებამდე.

301.19
J 451

15